საანგარიშო წელს მმართველობის და საერთო დანიშნულების ხარჯებმა 5,190.0 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმიური მაჩვენებლის (5,477.0 ათასი ლარი) 94.8 პროცენტია. აღნიშნული პროგრამით დაფინანსდა შემდეგი მიმართულებები: 1. საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა ხარჯები: სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო - 1,046.5 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის მერია - 3,790.8 ათასი ლარი, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (დელეგირებული უფლებამოსილება) – 238.4 ათასი ლარი

(მიზნობრივი ტრანსფერით დაფინანსდა 238.3 ათასი ლარი) 2. საერთო დანიშნულების ხარჯი: მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხების მომსახურებაზე გაიწია 95.8 ათასი ლარი, მათ შორის ძირითადი ვალდებულება შემცირდა 70,1 ათასი ლარით, მომსახურების პროცენტმა შეადგინა 25.7 ათასი ლარი. კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი 18.5 ათასი ლარი.

2. ინფრასტრუქტურის განვითარება (ორგანიზაციული კოდი 02 00)


მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდა გზების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა-შენახვა, წყალმომარაგების ქსელების რეაბილიტაციის სამუშაოები, გატარდა კეთილმოწყობის ღონისძიებები. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდა არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდა მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

ინფრასტრუქტურის განვითარება საანგაროშო პერიოდში სულ დაფინანსდა 14,442.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 84,4 %-ია. თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებით:

(თანხა ათას ლარებში)

პროგრამული კოდი	პროგრამის დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	17,109.9	14,442.5	84.4
02 01	გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსება	11,348.1	9,601.7	84.6
02 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	3,344.2	3,045.4	91.1
02 02 01	ბინათმშენებლობა	2,408.1	2,153.2	89.4
02 02 02	წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	154.1	127.8	82.9
02 02 03	გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	782.0	764.4	97.7
02 03	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	1,474.7	993.9	67.4
02 03 01	საკადასტრო რუქების მომზადება და საპროექტო-სახაჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება	12.0	7.8	65.0
02 03 03	სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებები	1,459.4	982.8	67.3
02 03 05	ამბულატორიების მშენებლობა-რეაბილიტაცია	3.3	3.3	100.0
02 04	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები	938.4	800.0	85.3
02 05	სოფლის მეურნეობის განვითარება	4.5	1.5	33.3

(თანხა ათას ლარებში)



2.1 გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 02 01)

2023 წლის განმავლობაში სამტრედიის მუნიციპალიტეტში სოფლებში და ქ. სამტრედიაში დაიგო დაახლოებით 22000 გრძ.მ ასფალტ-ბეტონისა და 8700 გრძ.მ ბეტონის საფარი. აღნიშნული პროექტების ფარგლებში რეაბილიტაცია ჩაუტრდა და ახალი მოეწყო დაახლოებით 2500 გრძ.მ სანიაღვრე არხი. კეთილმოეწყო ტროტუარი 1 ლოკაციაზე. საერთო ჯამში 8000- მდე ბენეფიციარმა მიიღო აღნიშნული პროექტებით განხორციელებული სარგებელი. დაფინანსდა შემდეგი პროექტები:

1. სოფ.დიდ ჯიხაიში N21 ქუჩიდან ჭაგნის მიმართულებით ასფალტ-ბეტონის დაგების სამუშაოები.
2. სამტრედიის მუნიციპალიტეტში ნაბაკევის ადმ.ერთეულის სოფ.ჩხენიშის N2 და N5 ქუჩების დამაკავშირებელ გზაზე ა/ბეტონის საფარის მოწყობა, N3 ქუჩაზე ა/ბეტონის საფარის მოწყობა, N4 ქუჩაზე ა/ბეტონის საფარის მოწყობა.
3. მელაურის ადმინისტრაციულ ერთეულში დადევინილის ქუჩიდან ხვედელიძის ქუჩის მიმართულებით ასფალტ-ბეტონის საფარის დაგება.
4. მიწაბოგორის N7 ქუჩაზე ასფალტ-ბეტონის საფარის დაგების სამუშაოები.
5. სოფელ ჭაგანში მდ.ჭურთავას მარცხენა სანაპიროს ჩიხში ასფალტ-ბეტონის საფარის დაგება.
6. დანიის ადმინისტრაციულ ერთეულში წმ.გიორგის ტაძრის ქუჩაზე ასფალტ-ბეტონის დაგება.
7. სოფ.იანეთის N24 ქუჩაზე ასფალტ-ბეტონის საფარის დაგების სამუშაოები.
8. სოფ.დიდ ჯიხაიში N8 ქუჩის გაგრძელება; N10 და N11 ქუჩებზე ასფალტ-ბეტონის საფარის დაგების სამუშაოები.
9. სოფ.დიდ ჯიხაიში N12 ქუჩაზე ასფალტ-ბეტონის საფარის დაგება.
10. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ.დიდ ჯიხაიში N16 ქუჩაზე ასფალტ-ბეტონის მოწყობის სამუშაოები.
11. მელაურის თემში სოფ. მიწაბოგორის N9 ქუჩის 1 ჩიხში ასფალტ-ბეტონის საფარის დაგება.
12. ქ.სამტრედიაში ფარნავაზის ქუჩის მისასვლელი საავტომობილო გზაზე, ბარამიას ქუჩაზე და მანჯგალაძის მე-3 ჩიხში ასფალტ-ბეტონის საფარის დაგების სამუშაოები.
13. სოფ.ტოლებში ცენტრიდან ე.წ. "ნაოყვარი"-ს უბნის მიმართულებით ბეტონის საფარის დაგების სამუშაოები.

14. სოფელ ვაზისუბანში სარკნიგზო ლიანდაგების მარჯვენა მხარეს N1;N2;N3;N4;N5 და N6.
15. შუა ბაშში "ნაცვლიშვილების უბანში" ასფალტ-ბეტონის საფარის დაგების სამუშაოები.
16. სოფ.ბაშში "გერამეების უბანში" ასფალტ-ბეტონის საფარის დაგების სამუშაოები.
17. სოფელ .მთისძირში წითელიშვილების დასახლებაში ა/ბეტონის მოწყობის სამუშაოები.
18. სოფელ პირველი ნიგორზღვაში გზის გასაყარიდან სკოლამდე ა/ბეტონის საფარის მოწყობა.
19. სოფ.დაბლა გომში ახალი სასაფლაოს ქუჩაზე ა/ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები.
20. სოფ.საჯავახოში ე.წ "საკირეს უბანში" და N3 გზაზე ასფალტ-ბეტონის საფარის დაგების სამუშაოები.
21. სოფ.დაფნარში მე-4 და მე-3 ქუჩის გადაკვეთაზე გზის მოასფალტება.
22. სოფ.დაფნარში მე-10 და მე-11 ქუჩის გადაკვეთაზე გზის მოასფალტება.
23. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ. დიდ ჯიხაიშში N18 ქუჩაზე აფალტ-ბეტონის საფარის დაგების სამუშაოების შესყიდვა.
24. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ ღანიჩში ქუთაისი-ხონი სამტრედიის საავტომობილო გზიდან ღვთისმშობლის ეკლესიის მიმართულებით აფალტ-ბეტონის საფარის დაგების სამუშაოების შესყიდვა.
25. სოფ. გორმალაში ბეტონის საფარის მოწყობა.
26. სამტრედიის მუნიციპალიტეტში სოფ. ღანიჩის ადმინისტრაციულ ერთეულში ე.წ. კველიძეები (კველიძეები) და ფრანგიშვილების უბნიდან ნინუაკუთხის მიმართულებით ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობა.
27. შუა ბაშში მეორე ეწრის მიმართულებით მიმავალ გზაზე I ჩიხში ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობა.
28. სოფ. დიდ ჯიხაიშში N31,N33, N34 ქუჩებზე ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობა
29. მელაურის პირველი ქუჩის I ჩიხში და მიწაბოგირის N6 ქუჩაზე ასფალტ ბეტონის საფარის მოწყობა
30. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ. იანეთის N17; N27 ქუჩაზე ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობა.
31. გრიბოედოვის ქუჩაზე სამრეწველო ზონაში ასფალტ ბეტონის საფარის მოწყობა.
32. ქ. სამტრედიიაში, რესპუბლიკის ქ. N242-ში მდებარე ყოფილი ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ არსებულ წყაროსთან მისასვლელ გზაზე და ე.წ. ხ.დ.კ-ს დასახლებაში კოსტავას ქუჩაზე ავტოპარკინგის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა.
33. სამტრედიის მუნიციპალიტეტში, სოფელ ოფეთში მდინარე ხევისწყალასთან მდებარე საავტომობილო გზის გამაგრების, სოფელ პატარა ოფეთში დაზიანებული ხიდის სარეაბილიტაციო და სოფელ ზემო ნოღაში ე.წ. ეცადიშვილების უბანში შიდა გზის დაზიანებული ნაწილის აღდგენის სამუშაოების მრავალწლიანი შესყიდვა.
34. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ. დიდი ჯიხაიშში N23 და N40 ქუჩებზე ასფალტ-ბეტონის საფარის სამუშაოების მრავალწლიანი შესყიდვა.
35. ქალაქ სამტრედიიაში, დავით აღმაშენებლის მე-2 შესახვევში, ბაგრატიონის ქუჩაზე, სააკაძის ქუჩაზე, თამარ მეფის ქუჩაზე არსებული თხევადი გაზით გასამართ სადგურთან ტროტუარზე და იპოდრომის ჭიმკართან მისასვლელი გზისა და შიდა ეზოში ასფალტო ბეტონის საფარის დაგების სამუშაოების შესყიდვა.
36. ქ. სამტრედიიაში რობაქიძის ქ. N65-ში, დუნდუას ქუჩა N1 და N1ა-ში, დ. აღმაშენებლის ქ. N314-ში, რობაქიძის ქ. N28-ში, ჯავახიშვილის ქ. N3-ში და დაბა კულაში რუსთაველის ქ. 40-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოებისა და დაბა კულაში 9 აპრილის ქუჩაზე საბავშვო ბაღთან მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო (მოასფალტების) სამუშაოების შესყიდვა.
37. ქალაქ სამტრედიიაში რუსთაველის, რესპუბლიკის, თამარ მეფისა და ეროსი მანჯგალაძის ქუჩების კვეთაზე საგზაო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად შუქნიშნებისა და საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის და მე-3 საჯარო სკოლის წინ ქვეითთა გადასასვლელების მოწყობის სამუშაოების შესყიდვა.
38. ქ. სამტრედიიაში ვაჩნაძის ქუჩაზე; მელაურის პირველი ქუჩის I ჩიხში და მიწაბოგირის N6 ქუჩაზე; სოფ. გომში ე.წ. "ჭინჭარამეები"-ს უბნის გავლით სოფ. გომმუხაყრუა-გომნატეხების დამაკავშირებელ გზაზე; სოფ. იანეთის N17, N27 ქუჩაზე; სოფ. ნაბაკევი N4 გზიდან ნინუაკუთხის მიმართულებით გზის ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოების მრავალწლიანი შესყიდვა.
39. ქ. სამტრედიიაში, გრიბოედოვის ქუჩაზე სამრეწველო ზონაში ასფალტ-ბეტონის საფარის დაგების სამუშაოების მრავალწლიანი შესყიდვა.
40. ქ.სამტრედიიაში, რესპუბლიკის ქუჩა N2-ის მიმდებარედ არსებული ტროტუარის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა.

41. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის სამხრეთ და დასავლეთ მხარეს არსებული სანიაღვრე არხის ცხაურების შეცვლის სამუშაოების შესყიდვა.
42. ქალაქ სამტრედიაში რიონის (ყოფილი სტურუას) ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოს შესყიდვა.
43. ქალაქ სამტრედიაში თამარ მეფის ქუჩის სანიაღვრე არხის დაზიანებული კედლების ახლით ჩანაცვლების სამუშაოების შესყიდვა.
44. "პაპავასა და მაიაკოვსკის ქუჩის მე-2 ჩიხს შორის არსებული ხიდ-ბოგირის სარეაბილიტაციო და სოფელ დაბლა გომში სანიაღვრე რკ/ბეტონის არხისა და ლითონის ცხაურის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა.
45. ქალაქ სამტრედიაში, ფიროსმანის ქუჩის დასაწყისიდან მ. კოსტავას I-შესახვევის ბოლომდე ახალი კაპიტალური რ/კ ბეტონის მონოლითური არხის მოწყობის სამუშაოების მრავალწლიანი შესყიდვა

შუალედური შედეგი

- გაუმჯობესდა მუნიციპალიტეტის საგზაო ინფრასტრუქტურა და სანიაღვრე სისტემა;
- მოსახლეობამ შეძლო შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება.
- გაუმჯობესდა მუნიციპალიტეტის სანიაღვრე სისტემა და მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს მიეცა საშუალება თავი დაეღწია ძლიერი ნალექის დროს დატბორილი საკარმიდამო ეზოებისაგან.

2.2 ბინათმშენებლობა (პროგრამული კოდი 02 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა რამოდენიმე მრავალსართულიანი კორპუსების გადახურვა ამხანაგობის პროგრამის თანადაფინანსებით, ასევე რეაბილიტაცია ჩაუტარდა ფასადებს, კერძოდ გამოყენებული იქნა ენერგოეფექტური ტექნოლოგიები. აღნიშნული პროექტით სარგებელი ნახა, როგორც ადგილობრივმა მოსახლეობამ, ასევე პროექტმა დადებითად იმოქმედა ქალაქის იერსახის გაუმჯობესებაზე. დაახლოებით 1200-მდე ბენეფიციარმა მიიღო ქვემოთ ჩამოთვლილი პროექტების განხორციელებით სარგებელი.

1. ქ. სამტრედიაში, რუსთაველის ქ. N27-ში მდებარე ბინის სადარბაზოს სარეაბილიტაციო სამუშაოების მრავალწლიანი შესყიდვა.
2. ქალაქ სამტრედიაში ლაშა თევზაძის ქუჩაზე N2 და N4 ბინების ფასადის და სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოების მრავალწლიანი შესყიდვა.
3. ქ. სამტრედიაში, აღმაშენებლის გამზირის პირველი შესახვევი N1-ში მდებარე საცხოვრებელი ბინის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა.
4. სამტრედიის მუნიციპალიტეტში აღმაშენებლის N244 ბინის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა.
5. ქ. სამტრედიაში, სიგუას მე-2 ჩიხი N13ში მდებარე საცხოვრებელი ბინის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა.

შუალედური შედეგი

- გაუმჯობესდა მოსახლეობის საცხოვრებელი პირობები.

2.3 წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა სოფ. ჭოგნარში წყალმომარაგების სისტემით ნაწილობრივი რეაბილიტაცია. აღნიშნული პროექტით 250 -მდე ბენეფიციარმა მიიღო სარგებელი.

1. საჯავახოს ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. ჭოგნარში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია

შუალედური შედეგი

- გაუმჯობესდა მოსახლეობის წყალმომარაგების მდგომარეობა.

2.4 გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 02 03)

აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მუნიციპალიტეტის განათების მომსახურება და საახალწლო-საშობაო ღონისძიებებისათვის ქუჩების დეკორატიული განათებების შექმნა, ასევე არსებული განათებების რეაბილიტაცია, შეიღება ქალაქის ტერიტორიაზე განთავსებული განათების ბოძები. აღნიშნული პროექტით სარგებელი ნახა, როგორც ადგილობრივმა მოსახლეობამ, ასევე პროექტმა დადებითად იმოქმედა ქალაქის იერსახის გაუმჯობესებაზე. დაახლოებით 3000 მდე ბენეფიციარმა მიიღო ქვემოთ ჩამოთვლილი პროექტების განხორციელებით სარგებელი.

შუალედური შედეგი

- გაუმჯობესდა დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება. საახალწლო განათებამ გამოიწვია ადგილობრივ მოსახლეობაში განწყობის ამაღლება.

2.5 საკადასტრო რუკების მომზადება და საპროექტო-სახაჯთადრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (პროგრამული კოდი 02 03 01)

პროგრამის ფარგლებში ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების ზუსტი აღრიცხვა და ბალანსზე აყვანა. მომზადდა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში დარეგისტრირებული შენობა-ნაგებობების შიდა აზომვითი და საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზები, აგრეთვე, განხორციელდა საექსპერტო კვლევები და კვლევის შედეგად მიღებული დასკვნის/აქტის შესაბამისი სამუშაოები. საანგარიშო პერიოდში აღნიშნული მომსახურება 11-ჯერ განხორციელდა.

შუალედური შედეგი

- გაუმჯობესდა მუნიციპალური ქონების დაცვის, განკარგვისა და მართვის ხარისხი;

2.6 სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 03 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის არსებული სკვერებისა და პარკების განახლება, ახალის მოწყობა. დამონტაჟდა ეროვნული დროშის კონსტრუქცია. კვერებში სავარჯიშო ტრენაჟორების მოწყობა, რომელიც ხელს შეუწყობს მოსახლეობაში ჯანსაღი გარემოს შექმნას.

განხორციელდა მგზავრთა თანამედროვე ტიპის მოსაცდელების მოწყობა, რომელმაც გააუმჯობესა ქალაქის იერსახე და მოსახლეობას შეუქმნა გადაადგილების კომფორტული პირობები. შემოიღობა სასაფლაოს ტერიტორია. აღნიშნული პროექტებით ისარგებლებს დაახლოებით 5000 -მდე ბენეფიციარი.

1. ქ. სამტრედიის, გეგმიდის ქუჩაზე არსებული (მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დასავლეთ მხარეს) სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოები.
2. ქალაქ სამტრედიის ბახტაძის ქუჩაზე (ფარნავაზის ქუჩის შეერთებასთან) არსებული სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა.
3. სამტრედიის მუნიციპალიტეტში სოფელ ნაბაკევიში ხუნჯულაურის წყაროზე ფანჩატურის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა.
4. ქ.სამტრედიის, კაკაბაძის ქუჩის მიმდებარე ფანჩატურისა და მიმდებარე ტერიტორიის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა.
5. ქალაქ სამტრედიის, ჭავჭავაძის ქ. N4 ბინის დასავლეთ მხარეს არსებული სკვერის და მერიის შენობის დასავლეთ მხარეს არსებული სკვერის სარეაბილიტაციო, ასევე ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე ფანჩატურის მოწყობის სამუშაოების მრავალწლიანი შესყიდვა.
6. სადროშე ბოძის (კონსტრუქციის) მონტაჟის სამუშაოები.
7. ქალაქ სამტრედიის, ჭავჭავაძის ქ. N2-ის მიმდებარე (ყოფილი სასტუმროს შენობის მხარეს) დაზიანებული ტროტუარის სარეაბილიტაციო სამუშაოების მრავალწლიანი შესყიდვა.

8. სამტრედიის მუნიციპალიტეტში, სოფ.იანეთის მე-9 უბანში, სოფ დაფნარისა და ოფეთის ადმ. ერთეულის დამაკავშირებელ გზაზე, ბახტაძის ქუჩაზე (მემორიალის მიმდებარედ), ა. კალაძის ქუჩაზე (ე.წ. ერთ ჭადართან), გრიბოედოვის ქუჩისა და ხორავას ქუჩის კვეთასთან (ე.წ. ბამგნარში) მგზავრთა მოსაცდელების მოწყობის სამუშაოების შესყიდვა.
9. სამტრედიის მუნიციპალიტეტში, ნაჩხატაურის უბანში არსებული სასაფლაოს შემორაგვის სამუშაოების შესყიდვა.

შუალედური შედეგი

გაუმჯობესდა ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები მოსახლეობის დასვენების პირობები და შეიცვლება ქალაქის იერსახე.

2.7 ამბულატორიების მშენებლობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 03 05)

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტში დაფინანსდა ნაბაკევის ადმ. ერთეულის სოფ. ჩხენიშში აშენებული ამბულატორიისა და ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოების დარჩენილი 2,5%. აღნიშნული პროექტით სარგებლობს თვით ამ სოფლისა და მიმდებარე სოფლების მოსახლეობა, დაახლოებით 300-მდე ბენეფიციარი.

შუალედური შედეგი

- გაუმჯობესდა ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პირველად დახმარების პირობები.

2.8 სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები (პროგრამული კოდი 02 04)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სოფლებისთვის პრიორიტეტული სოციალ-ეკონომიკური პროექტები. აღნიშნულ სამუშაოებში ჩართული იყო სოფლის მოსახლეობა. პროგრამით გათვალისწინებული თანხა წარმართა სოფლის პირველი რიგის სოციალ-ეკონომიკურ საჭიროებათა დასაფინანსებლად. 2023 წელს მუნიციპალიტეტში 14 ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელდა 81 პროექტი, მათ შორისაა 17 სკვერის რეაბილიტაცია, ზოგიერთ მათგანში მოეწყო სავარჯიშო ტრენაჟორები. სხვადასხვა სოფლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდა 3 სპორტულ მოედანს, მოეწყო საფარი, განათება და შემოიღობა ტერიტორია. არსებულ 4 მგზავრთა მოსაცდელს ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები, მოეწყო განათებები და კეთილმოეწყო მოსაცდელებთან მისასვლელი ტერიტორია. ასევე შემოიღობა 5 სოფლის სასაფლაო. სოფლის 2 ამბულატორიას ასევე ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები. 2 საბავშვო ბაღის ეზო შემოიღობა და შექმნილი იქნა შესაბამისი ინვენტარი. მაღალმთიან სოფლებში გამოიცვალა წყალმომარაგების მილები, სულ 4 სოფელში. სოფლის შიდა გზები მოიხრემა და ზოგიერთ მათგანზე მოეწყო ხიდ-ბოგირები, სულ 20 პროექტი განხორციელდა ამ მიმართულებით. 8 მიმართულებით მოეწყო სანიაღვრე არხები. 16 ლოკაციაზე განხორციელდა გარე განათების ქსელების მოწყობის სამუშაოები. 1 სოფელში მოეწყო ნაპირსამაგრი.

შუალედური შედეგი:

გაუმჯობესდა ადგილობრივი სოფლის მოსახლეობის ცხოვრების პირობები.


2.9 სოფლის მეურნეობის განვითარება (პროგრამული კოდი 02 05)

საანგარიშო წლის განმავლობაში სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საექსპერტო მომსახურეობის ჩატარება და საპრივატიზებო სავასურის განსაზღვრა. აღნიშნული სამუშაოები 10-ჯერ განხორციელდა.

3. დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)

დასუფთავების და გარემოს დაცვა საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 2,982.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 97.1 პროცენტია. გამოყოფილი სახსრებიდან 1,903.3 ათასი ლარი მოხმარდა ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანებას, 670.0 ათასი ლარის ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანებას, ხოლო დასუფთავებას მოხმარდა 408.9 ათასი ლარი.

პროგრამული კოდი	პროგრამის დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	3,071.7	2,982.2	97.1
03 01	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება	1,985.0	1,903.3	95.9
03 02	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება	677.8	670.0	98.8
03 03	დასუფთავება	408.9	408.9	100.0



3.1 ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება (პროგრამული კოდი 03 01)

ა(ა)იპ,სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება“-ს შემადგენლობაში შედის სამი განყოფილება: დასუფთავების, გარე განათების ქსელის მომსახურებისა და სანიაღვრე არხების წმენდის განყოფილებები. განათების განყოფილებაში 2023 წლის განმავლობაში განხორციელებული იქნა სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 14000 წერტილისა და მასზედ არსებული გარე განათების ქსელის მომსახურება, ასევე, განხორციელებული იქნა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე არხების გაწმენდა და დანალექის გატანა, კერძოდ სულ ჯამში გაწმენდილი იქნა 33 753 გრძ.მ არხი და გატანილი იქნა 11 124მ³ დანალექი, რაც შეეხება დასუფთავების განყოფილებას 2023 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან გატანილი იქნა 29 900მ³ საყოფაცხოვრებო ნარჩენები და განთავსებული იქნა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ნაგავსაყრელზე.

შუალედური შედეგი

- ეკოლოგიური და სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება.

3.2 ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება (პროგრამული კოდი 03 02)

2023 წლის განმავლობაში ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანებამ განახორციელა სხვადასხვა სახის სამუშაოები, როგორც ქალაქის ტერიტორიაზე, ასევე სოფლებში, კერძოდ:

სკვერებისა და პარკების მოწესრიგება; გაზონების, საცალფეხო ბილიკების და სხვადასხვა ტერიტორიების ბალახის საფარისაგან გათიბვა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასაფლაოს ტერიტორიების მოვლა-პატრონობა; გაერთიანების სპეცტექნიკით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და სოფლებში სანიაღვრე არხების ამოღება გაწმენდა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და მაღალმთიან სოფლებში გზის საფარის მოწესრიგება.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხეების გადაბეღვას და გადაბედილი და დამუშავებული საშუალებებით მერქნით, საბავშვო ბაღებისა და სოციალურად დაუცველთა ოჯახების მომარაგება.

გაერთიანების მიერ 2023 წელს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სხვადასხვა ლოკაციებზე დაირგო ხე-ნარგავები. კერძოდ:

1. ბახტაძისა და ფარნავაზის ქუჩების კვეთაზე მდებარე პარკში: 8 ძირი ოლეანდრა, 6 ძირი იაპონური ნეკენჩხალი, 6 ძირი არღვანი.
2. იანეთის საბავშვო ბაღში დაირგო: 12 ძირი სმარაგდა, 4 ძირი კამელია, 4 ძირი სოჭი
3. ქალაქის ტერიტორიაზე დაირგო: 50 ძირი სამოთხის ვაშლი, 50 ძირი ურნაბი, 35 ძირი ოლენდრა;

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გაერთიანების მიერ სისტემატიურად ხორციელდებოდა:

- ხეებისა და ბუჩქების გაკრეჭვა.
- გეგმიური გადაბეღვები.
- გადაბედილი და დამუშავებული საშუალებებით მომარაგებული იქნა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საბავშვო ბაღები და სოციალურად დაუცველი ოჯახები.
- შეთეთრებული იქნა ქალაქის ტერიტორიაზე ხე-ნარგავები.
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ბალახის საფარის მოთიბვა.
- ბარდიურების, ტროტუარების და სასაფლაოს ბილიკების შეკეთება და კეთილმოწყობა;
- რესპუბლიკისა და ჭავჭავაძის ქუჩის კვეთაზე, კრავიშვილის ქუჩაზე მოვახდინეთ საგზაო ნიშნების მაჩვენებლების დაფების შეღებვა დამაგრება.
- წყალსაწრეტი არხების შეკეთება.
- ხედვის დასახლებაში მგზავრთა მოსაცდელის მოწესრიგება.
- ქალაქის ტერიტორიაზე პარკებსა და სკვერებში განთავსდა, შეკეთდა და კეთილმოეწყო დასასვენებელი სკამები.
- მოვაწესრიგეთ შინმოუსვლელთა მემორიალების ტერიტორია.
- გზების დატოვების თავიდან აცილების მიზნით ექსკავატორით გაიჭრა და გასუფთავდა რამდენიმე კმ.სიგრძის სანიაღვრე არხები, ქალაქისა და სოფლის ტერიტორიებზე.
- სოფ.საჯავახოში სანიტარული ნორმების დაცვით მოწესრიგდა სანიაღვრე არხები ჩამოსხა 85 გრძ/მ. სიგრძის ბეტონის კედლები.
- სხვადასხვა ლოკაციებზე მოწესრიგდა 10 ცალი ბეტონის ბოგირი.
- სოფ. გომში და გამოჩინებულში მოეწყო გზის მკვეთავი ცხაურები.
- იანვრის თვეში ადკვეთილი იქნა სტიქიის მიერ მიყენებული ზიანი და შეფერხებები. გაერთიანების ავტომანქანა მაზი 5551-ის მიერ გატანილი იქნა ქალაქის სხვადასხვა ლოკაციებიდან ხის ნასხლავები და არხიდან ამოღებული ნატანი ქალაქის ნაგავსაყრელზე.
- მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფლებში გაერთიანების კუთვნილი ექსკავატორ-დამტვირთველით მოხდა მეწყრისაგან დაზიანებული გზების გასუფთავება მოხრეშვა და მოშანდაგება.
- საჯავახოში, სოფ. ჭოგნარში შეკეთდა მეწყრის მიერ დაზიანებული 100გრძ/მ სასამელო წყლის რკინის მაგისტრალი.
- მოითიბა გამოჩინებულის ადმინისტრაციულ ერთეულში ზანდოს მთაზე მდებარე სამონასტრო კომპლექსის ეზო და მიმდებარე ტერიტორია.

საანგარიშო წლის განმავლობაში პერიოდულად სხვადასხვა ლოკაციაზე ხორციელდებოდა მინი და სპორტული მოედნების ტერიტორიების მოთიბვა, ტექნიკით მიწის საფარის მოსწორება და ნარჩენების გატანა/დასუფთავება: ქალაქის ტერიტორიაზე - 59 528 კვ.მ, სოფლებში - 109 753 კვ.მ ფართობი. პანთეონისა და სასაფლაოების ტერიტორიის დაგვა-დასუფთავება და მწვანე ბალახის საფარის მოთიბვა, სულ 13 სასაფლაოს ტერიტორია.

2023 წელს ქალაქის ტერიტორიაზე საცხოვრებელი კორპუსებისა და სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა გარე ფასადის კედლები მოიხატა, დამზადდა და ქალაქის მთელ ტერიტორიაზე განთავსდა სხვადასხვა სახის საახალწლო დეკორაციები.

საერთო ჯამში ჩვენი სამსახურის მიერ 2023 წლის განმავლობაში ჩატარებულმა სამუშაოებმა მოსახლეობას შეუქმნა მოწესრიგებული გარემო. დროულად იქნა ლიკვიდირებული სტიქიისაგან მიღებული ზარალი.

შუალედური შედეგი

- მოსახლეობას შეუქმნა მოწესრიგებული გარემო.

3.3 დასუფთავება (პროგრამული კოდი 03 03)

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა ცხოველების დაჭერა და მათი გადაყვანა სპეციალიზირებულ თავშესაფარში. საერთო ჯამში 2023 წლის განმავლობაში სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან გაყვანილი იქნა 470 მიუსაფარი ცხოველი სპეციალიზირებულ თავშესაფარში, სადაც ჩაუტარდათ შესაბამისი მკურნალობა მკურნალობა (კასტრაცია/სტერილიზაცია, ვაქცინაცია, იდენტიფიკაცია, საჭიროების შემთხვევაში ევთანაზია და ცხოველთა სამარხში გადაყვანა) და ლოკაციის ადგილს დაუბრუნდა, ხოლო განსაკუთრებით აგრესიული 32 მიუსაფარი ცხოველი დარჩა თავშესაფარში. ზემოთ აღნიშნულმა გარემოებამ უზრუნველყო მათი რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება.

ასევე, ქვეპროგრამის ფარგლებში შესყიდულია 15 ც. ლითონის 1100-ლიტრიანი ნაგავმეპრები კონტეინერი, რომლითაც ამოიკვალა ძველი მწყობრიდან გამოსული ურნები. ასევე განხორციელდა 2 ერთეული ნაგავმზიდის (4X2-ზე თვლების ფორმულით) შესყიდვა.

შუალედური შედეგი


- უზრუნველყოფილი იქნა შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება.

4. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

საგანმანათლებლო ღონისძიებები 2023 წლის განმავლობაში დაფინანსდა 6,332.2 ათასი ლარის ოდენობით, რაც გეგმის - 6,562.3 ათასი ლარი, 96.5 პროცენტია. აღნიშნული თანხებიდან ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების დაფინანსებაზე მიმართული იქნა 3,697.7 ათასი ლარი, ზოგადი განათლების ხელშეწყობის დაფინანსებას (დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში) მოხმარდა 1,339.5 ათასი ლარი, ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი დაფინანსდა 304.9 ათასი ლარით, ხოლო სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების (ბაღები და ბაგა-ბაღები) მშენებლობას მოხმარდა 990.1 ათასი ლარი.

(თანხა ათას ლარებში)

პროგრამული კოდი	პროგრამის დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
04 00	განათლება	6,562.3	6,332.2	96.5
04 01	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანება	3,769.0	3,697.7	98.1
04 02	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	1,436.3	1,339.5	93.3
04 03	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი	305.3	304.9	99.9
04 04	სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების (ბაღები და ბაგა-ბაღები) მშენებლობა	1,051.7	990.1	94.1



4.1 ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანება (პროგრამული კოდი 04 01)

ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება აერთიანებს 24 ბაგა-ბაღს, სადაც განათლებას იღებს 1300 ბავშვი. საანგარიშო წლის განმავლობაში დაფინანსდა აღსაზრდელთა დღეში სამჯერადი კვება, თითოეულ ბავშვზე კვების ხარჯი დღიურად შეადგენს 3,90 ლარს. ბაგა-ბაღებში დაინერგა NACCP-ის პროგრამა, რაც ითვალისწინებს სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტებს, გადამზადდა ყველა ბაგა-ბაღის მმართველი, ექთანი, მზარეული და მწე, რომლის შესაძლებლობის ფარგლებში შეძენილი იქნა 95899.03 ლარის ინვენტარი და გადანაწილდა მუნიციპალიტეტში არსებულ ყველა ბაგა ბაღში. ნაწილობრივ მიმდინარეობს რემონტები N3, N5, N6, N7, N9, N10, N11, ჯიხაიშის N2, საჯავახოს ბაგა-ბაღებში და არ დასრულებულა პრეტენდენტის დროულად შეუსრულებობის გამო 49913 ლარის ღირებულებით. ასევე ძალიან დიდი ყურადღება დაეთმო სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა ჩართვას სასწავლო პროცესში, რისთვისაც ბაგა-ბაღებში დაემატა სპეც. მასწავლებლები და ფსიქოლოგი.

თებერვლის თვიდან ყველა ბაგა-ბაღში ტარდება აქტივობები შემდეგ თემებზე:

„იფიქრე თბილად“ ზამთრის სურათები დახატეს გუაშებით და აპლიკაციით შეიქმნეს ქალაქი.

საგაზაფხულო კვირეული „გაზაფხული და დედა“.

„გაზაფხულის მოლოდინში“ , რომელიც სადღმწრდელი ჯგუფებში საგაზაფხულო მზადებას დაეთმო გაზაფხულთან დაკავშირებით მოეწყო გამოფენები, რომელიც ბუნების გამოლვიძებას ასახავდა, „გაზაფხულის ფერების ფანტაზია“, „ყვავილები ჩემს ეზოში“. სასკოლო მზაობის ჯგუფების მონაწილეობით ბაღებში აღინიშნება ნარჩენების გადამუშავებისა და ხის დარგვის საერთაშორისო დღე 18-21 მარტს. აღსაზრდელების და აღმზრდელების ჩართულობით ბაღის ტერიტორიებზე შეაგროვეს ნარჩენები, დაახარისხეს და მათ მიერ დამზადებულ მარკირებულ ურნებში მოათავსეს. დარგეს სხვადასხვა ხისა და ყვავილის ნერგი.

შეიქმნა „ჯადოსნური ზღაპრების სამყარო“, თოჯინების თეატრი საბავშვო ბაღებში. „იყო და არა იყო რა...“ ამ სათაურით გაცოცხლდა „წითელქუდა“, „სამი გოჭი“ და „ნაცარქექიას“ გმირები.

ბაღის საამღზრდელი ჯგუფებში შეიქმნა არა ერთი სამაგიდო თამაშებისა და შეჯიბრებისათვის განკუთვნილი თვალსაჩინო მასალები: „ფოთლები და ჭიამაიები“, „ყვავილები და ფერები“, „ფორმები და ლაბირინთი“, „ზღაპრები და მათემატიკა“.

აპრილის თვეში თემით: - „გავუფრთხილდეთ დედამიწას“ აღინიშნა დედამიწის დღე 22 აპრილს.

აგრეთვე შემაჯამებელი აქტივობები „აღდგომის დღე“, საბავშვო ბიბლიიდან მცირე მოთხრობები.

მაისის ბოლოს თემით: - „საქართველო ლამაზო“, „საქართველოს დამოუკიდებლობის დღე“. სასწავლო წელი სასკოლო მზაობის ჯგუფებში გამოსაშვები ღონისძიებით „ჩვენ სკოლაში მივდივართ“ და მათ მიერ დამზადებული სხვადასხვა ტრანსპორტით „მოგზაურობით“ დასრულდა.

ოქტომბრის თვეში აღნიშნეს ბარაქიანი შემოდგომის დღეები და დედაენის დღე.

კონკურსში „მწვანე ჯილდო“-ს მონაწილეობა მიიღო N4 და N9 ბაგა-ბაღმა, ხოლო N9 ბაგა-ბაღის პროექტი გადავიდა 2 ტურში და დაჯილდოვდა სიგელით.

13-15 დეკემბერს ჩატარდა სათემო ფორუმი კლიმატული ცვლილებებით გამოწვეული კატატასტროფების რისკის შემცირება საქართველოში. თემა ნარჩენების მართვა, პროექტი ეკომეგობრული ბაღი- მონაწილეობდა 3 ბაგა-ბაღი. პროექტში გამარჯვებული ეკო ბოსტანი მეორე ადგილის მფლობელი გახდა და 500 ლარიანი ვაუჩერი გადაეცა ღანიის საბავშვო ბაღს.

15-25 დეკემბერს ბაგა-ბაღებში ტარდება საახალწლო კარნავალი.

შუალედური შედეგი

- აღმზრდელთა კვალიფიკაციის გაზრდა ბაგა-ბაღების სასწავლო რესურსით მომარაგება;
- აღსაზრდელთა მოწესრიგებული კვების მენიუ
- აღსაზრდელთათვის ნაწილობრივ მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა

4.2 ზოგადი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02)

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტში დაფინანსდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის ნაბაკვეის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ჩხენიშის საჯარო სკოლის შენობის სარეაბილიტაციო (მე-2 ეტაპი) სამუშაოების შესყიდვა, გამოიცვალა იატაკების ნაწილი, გარემონტდა საკლასო ოთახები და დერეფანი. საიდანაგ დაახლოებით 200-მდე ბენეფიციარმა მიიღო სარგებელი.

შუალედური შედეგი:

- გაუმჯობესდა მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსწავლეთა სწავლისა და განვითარების პირობები. შეიქმნება სუფთა და კომფორტული გარემო.

4.3 ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი (პროგრამული კოდი 04 03)

ა.ა)ი.პ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი წარმოადგენს ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ააიპ-ს, რომელიც ახორციელებს კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამებს, არაფორმალური დამატებითი სწავლების ორგანიზებას ადგილობრივ ხელისუფლებასთან თანამშრომლობით.

არაფორმალური დამატებითი განათლება გახდა ხელმისაწვდომი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისა და სოციალურად დაუცველი ოჯახების შვილებისათვის. ყველა ნებისმიერი ახალგაზრდისთვის 6-18 წლამდე.

ჩვენს მიერ დასახული მიზანი, გრძელვადიან პროგრამაში განხორციელდა. პედაგოგიურმა კოლექტივმა და შემოქმედებითმა ჯგუფებმა სწრაფად და დროულად უპასუხეს საგანმანათლებლო სფეროში მიმდინარე გამოწვევებს, შექმნეს კეთილგანწყობილი გარემო, საქმიანი კავშირები დაამყარეს საჯარო სკოლებთან, მშობლებთან, საზოგადოებასთან. გაიზარდოს მოსწავლეთა ჩართულობის გეოგრაფიული არეალი. სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებში საჯარო და კერძო სკოლებიდან მონაწილეობა მიიღო 1500- მდე მოსწავლემ.

19 იანვარი - სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობის ორგანიზება (მათი ღონისძიებებში აქტიურად ჩართულობის მიზნით)

21 იანვარი - ალექსანდრე ლორთქიფანიძე „წიგნის თაროს რეგიონალური ტური სამტრედიით დასრულდა. შეხვედრა სამტრედიელ ახალგაზრდებთან. მოსწავლეთა პარლამენტი.

26 იანვარი - შეხვედრა ფსიქოლოგ ლელა სტურუასთან.

5 თებერვალი წიგნის საჯარო კითხვის მსოფლიო დღე - ინტეგრირებული გაკვეთილი, მოსწავლეთა პარლამენტი, წიგნის მოყვარულთა წრე, მოსწავლეთა თეატრი - საბავშვო ბიბლიოთეკა 14სთ.

8 თებერვალი - დავითობა. ჩვენი სახლის სარკმილიდან დანახული „წმ. დავით აღმაშენებლის საკათედრო ტაძარი“ - ლიტერატურულ-მხატვრული კომპოზიცია, მხარეთმცოდნეობის წრის მოსწავლეთა პრეზენტაციების გამოფენა ტაძრის ეზოში. ისტორია-მხარეთმცოდნეობის წრე - 12სთ.

3 მარტი - „მზიდობა იყოს მთელს ქვეყანაზე ჩემი ფიქრია დედის ფიქრია“ - ფლაერების დარიგება და ინტერვიუ ქალაქის მასშტაბით.

8 მარტი - პოეზიის საათი თემაზე „გაზაფხული და დედა“.

5 მარტი - „საქებარნი არიან ის მშობლები, რომლებიც მრავალ შვილს შობენ“ - საგალობლების შემსწავლელთა წრეში შეხვედრები პატრიარქის ნათლულეებთან.

21 მარტი - 1. ჟურნალისტთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი რეპორტაჟი ქალაქიდან. 2. დაუნის სინდრომით დაავადებულ ბავშვთა საერთაშორისო დღე „ჩვენ არ ვითვლით ქრომოსომებს“ - თემატური ფლაერების დარიგება ქალაქის ტერიტორიაზე.

22 მარტი - „წარმატება იწყება დღეს“ - შეხვედრა კავკასიის უნივერსიტეტის წარმომადგენლობასთან.

24 მარტი - ტუბერკულოზთან ბრძოლის დღეს - შეხვედრა წითელ ჯვართან.

2 აპრილი - „წითელი მიხაკი სულ გულზე გეგნია თითქოსდა იარა ღვიოდა წითლად“ - მოსწავლეთა პარლამენტი პოეზიის საღამო.

9 აპრილი - „ჩემო სამშობლო, ჩემო ერო, ჩემო ქალაქო უიარაღოს იარაღით როცა გებრძვიან, ეს იმას ნიშნავს ძლიერი ხარ უიარაღოთ“. 9 აპრილს დაღუპულ გმირთა მემორიალის მონახულება, თემატური ფლაერების დარიგება,

14 აპრილი - თსუ-ს არნოდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ტექნოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელ ქ-ონ: ლია ქაროსანიძის კონფერენცია ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმში ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი - მოსწავლეთა პარლამენტი.

15 აპრილი - პროექტის პრეზენტაცია თემაზე „მე რომ ქალაქის მერი ვიყო“ მოსწავლეთა პარლამენტის შეხვედრა მუნიციპალიტეტის მერთან.

15 აპრილი - თემატური საღამო „ნამდვილი ამბავი ომზე“ - ისტორია-მხარეთმცოდნეობისა და საჯარო სკოლების ჩართულობით ჩატარებული ღონისძიება.

21 აპრილი - „დედამიწა ჩვენი საერთ სახლია - მას მოფრთხილება უნდა“ დიალოგი დისკუსია მოსწავლეთა პარლამენტი,

10 მაისი - ქართული ქართველთ რწმენა! დმერთია ბედისწერა - ლიტერატურული შემეცნებითი საათი.

ნინო ტონიას ლექცია-საუბარი მოსწავლე-ახალგაზრდობასთან.

საგანმანათლებლო რესურსცენტრი 14სთ.

6 მაისი - დიალოგი შეხვედრა მოძღვართან.

12 მაისი - ანდრია პირველწოდებულის დღე,

14 მაისი - თამარობა.

16 მაისი - შემაჯამებელი მეცადინეობა - დეკანოზი რომანოზ ნინუა.

19 მაისი - „მე ჩემი რაიონის მეგზური ვარ“. რეპორტაჟი მხარეთმცოდნეობის მუზეუმიდან, მუზეუმების საერთაშორისო დღე,

26 მაისი - „თავისუფალ საქართველოს ღვთისმშობელო მოხედე“ - საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ლიტერატურული კომპოზიცია 12სთ.

1 ივნისი - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საბავშვო ლექსების საათი 12სთ. წრეები უმცროსი ასაკი.

10 ივნისი - „ყველაზე წიგნიერი“ ინტელექტუალური თამაში - 14სთ. საჯარო სკოლები მოსწავლეთა პარლამენტი.

28 ივნისი - საანგარიშო კონცერტი. ბავშვთა შემოქმედებითი გაერთიანება „ორუდილა“. გასვლითი ღონისძიებები, ფესტივალ კონკურსებში მონაწილეობა.

30 ივნისი -საანგარიშო კონცერტი ქართული ხალხური საკრავების ანსამბლი „ჩანგი“.

30 ივნისი - 5 ივლისის ჩათვლით - ქორეოგრაფიული ანსამბლ „ლილეს“ გასვლითი კონცერტები, მონაწილეობა ფესტივალ კონკურსებზე.

ივნისის თვე - ანგარიშს ვაბარებთ მშობლებს წრეების შემაჯამებელი საანგარიშო მეცადინეობები სპეციალურად შეთანხმებული განრიგით.

სექტემბრის თვე - წრეების დაკომპლექტება და საორგანიზაციო საკითხების მოწესრიგება და მზადება ღია კარის დღეზე.

10 ოქტომბერი - ღია კარის დღე-დირექცია, წრეები, საჯარო სკოლები.

15 ოქტომბერი - მოგზაურობა სასიტყვეთში. შეხვედრა დიალოგი ქალბატონ ნინო ტონიასთან. იაკობ გოგებაშვილის დაბადების დღე 15სთ. საკონფერენციო დარბაზი.

20 ოქტომბერი - საუბრები ნიკო ნიკოლაძეზე - რეპორტაჟი მუზეუმიდან 15სთ. ისტორია მხარეთმცოდნეობისწრე.

ნომბრის თვე

„ჩანგი“ ხელ-ლი მ. ტკვაცირია 2 ნომბერი

„ალილო“ ხელ-ლი მადონა კოხრეიძე - 2 ნომბერი

„ლილე“ - 3 ნომბერი ხელ-ლი გ. თურმანიძე

„მედოლეები“- 3 ნომბერი ხელ-ლი ნ. დუნდუა

4 ნომბერი - ბავშვთა ვოკალური ანსამბლი „ორუდილა“, ხელ-ლი ნ. ჭახნაკია.

სამეჯლისო ცეკვების ანსამბლი „ფანტაზია“ ცეკვა ჩა-ჩა-ჩა ხელი-ლი ქ. ზაქრადე

12 ნომბერი - მოგზაურობა სასიტყვეთში. შეხვედრა-დიალოგი ქ-ნ: ნინო ტონიასთან (იაკობ გოგებაშვილი, ილია ჭავჭავაძე)

17 ნომბერი - გალაქტიონობა - ტრადიციული ექსკურსია ჭყვიშში გალაქტიონის სახლ-მუზეუმში.

19 ნომბერი - „სიკვდილიც საკუთარი ხელით ატარა“ - გალაქტიონია, მას ქონდა უფლება.

ლიტერატურული სადამო

ისტორიის, წიგნის მოყვარულთა წრე და მოსწავლეთა პარლამენტი.

29 ნომბერი - „ჩემო კარგო ქვეყანავ“ - ი. ჭავჭავაძის 185 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სადამო. შემოქმედებითი ჯგუფები და მოსწავლეთა პარლამენტი.

დეკემბრის თვე

18 დეკემბერი - ნ. ნიკოლაძე და სამტრედია. სასწავლო-შემეცნებითი ექსკურსია ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმში.

20 დეკემბერი - საახალწლო ნაძვის ხის ანთების ცერემონიალი - კონცერტი ბავშვთა გაერთანება „ორუდილა“, შოუ ბალეტი „ფანტაზია“.

24 დეკემბერი - „ლილე“ ქორეოგრაფიული ანსამბლის შემაჯამებელი ღია გაკვეთილი.

25 დეკემბერი - „ორუდილა“ უმცროსი თაობა საახალწლო ზეიმი. „ფანტაზია“ - საახალწლო პერფორმანსი.

26 დეკემბერი - ხალხური სიმღერებისა და საკრავების „ალილო“ და „ჩანგი“-ს საახალწლო კონცერტი.

28 დეკემბერი - „ორუდილა“ უფროსი თაობა. კონცერტი კულტურის ცენტრში.

28 დეკემბერი - საახალწლო კარნავალი - მოსწავლეთა პარლამენტი. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დარბაზი.

30 დეკემბერი - კულტურის ცენტრში ჩატარდა საახალწლო ღონისძიებები.

2023 წლის იანვრიდან 15 დეკემბრამდე ვრცელდებოდა საინფორმაციო ფლაერები ქალაქის ტერიტორიაზე, საჯარო სკოლებში და სხვადასხვა დაწესებულებებში (პრესა, ტელევიზია, სახელისუფლებო ორგანოები).

შუალედური შედეგი

- მოზარდთა შემოქმედებითი - საგანმანათლებლო ღონის ამაღლება.
- მოსწავლე-ახალგაზრდობას გამოუმუშავდა სამოქალაქო საზოგადოებაში ცხოვრების უნარ-ჩვევები.
- გაიზარდა მოსწავლეთა რაოდენობა

4.4 სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების (ბაღები და ბაგა-ბაღები) მშენებლობა (პროგრამული კოდი 04 04)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების (იანეთის ბაღი), სამშენებლო და სხვა მცირე სამუშაოები.

სამტრედიის მუნიციპალიტეტში, სოფელ იანეთში მშენებარე ბაგა-ბაღში განხორციელდა ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები. შეიქმნა სუფთა და კომფორტული გარემო. აღნიშნული პროექტით სარგებელი მიიღო დაახლოებით 150-მდე ბენეფიციარმა.

შუალედური შედეგი

- გაუმჯობესდა მუნიციპალიტეტში მცხოვრები სკოლამდელი ასაკის ბავშვების სწავლისა და დასვენების პირობები. შეიქმნა სუფთა და კომფორტული გარემო.

5. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

სპორტულ, ახალგაზრდულ და კულტურულ ღონისძიებებზე გაწეული იქნა 6,343.9 ათასი ლარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 6,520.5 ათასი ლარისა, რაც გეგმის 97.3 პროცენტს შეადგენს. აღნიშნულის


სახსრებიდან სპორტის განვითარების ხელშეწყობას მოხმარდა 4,305.5 ათასი ლარი, კულტურის განვითარების ხელშეწყობას - 1,377.7 ათასი ლარი, შპს „სამტრედიის მაცნე“-ს - 117.0 ათასი ლარი, ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრს - 55.9 ათასი ლარი, ახალგაზრდული ორგანიზაციების, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის ღონისძიებების დაფინანსებას - 187.3 ათასი ლარი, ხონი-სამტრედიის ეპარქიის დაფინანსებას - 265.0 ათასი ლარი, ხოლო - კულტურის დაწესებულებათა მშენებლობა-რეაბილიტაციას - 35.5 ათასი ლარი.

(თანხა ათას ლარებში)

პროგრამული კოდი	პროგრამის დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	6,520.5	6,343.9	97.3
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	4,440.3	4,305.5	97.0
05 01 01	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და სპორტული მოედნების მშენებლობა და რეკონსტრუქცია	2,437.9	2,308.1	94.7
05 01 02	სპორტული სკოლები	2,002.4	1,997.4	99.8
05 01 02 01	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბი	147.5	146.8	99.5
05 01 02 02	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლა	303.4	303.3	100.0
05 01 02 03	ააიპ საფრენბურთო კლუბი "ჯიკო"	124.2	124.1	99.9
05 01 02 04	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ხელბურთელთა კლუბი "სამტრედია"	197.9	197.8	99.9
05 01 02 05	შ.პ.ს. "სპორტული კომპლექსი სამტრედია"	704.8	704.6	100.0
05 01 02 06	ააიპ რაგბის კლუბი "ფენიქსი"	221.3	218.2	98.6
05 01 02 07	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი "ფალავანი"	303.3	302.6	99.8
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	1,415.4	1,377.7	97.3
05 02 01	სახელოვნებო სკოლები	718.4	717.2	99.8
05 02 01 01	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის დ.შანიძის სახ. N1 სახელოვნებო სკოლა	197.8	197.5	99.8
05 02 01 02	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის N2 სამუსიკო სკოლა	88.9	88.8	99.9
05 02 01 03	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ.ტოლების სამუსიკო სკოლა	62.3	62.2	99.8
05 02 01 04	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლა	119.0	118.8	99.8
05 02 01 05	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ.დ.ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლა	89.2	89.0	99.8
05 02 01 06	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლა	77.8	77.5	99.6
05 02 01 07	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეა	83.4	83.4	100.0
05 02 02	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი	580.6	547.1	94.2
05 02 04	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საზიზილოთეკო გაერთიანება	116.4	113.4	97.4
05 03	შპს „სამტრედიის მაცნე“	117.9	117.0	99.2
05 04	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრი	56.0	55.9	99.8

05 05	ახალგაზრდული ორგანიზაციების, კულტურის, მეგლთა და დაცვისა და ტურიზმის ღონისძიებების დაფინანსება	188.5	187.3	99.4
05 05 01	ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებების დაფინანსება	43.1	42.6	98.8
05 05 02	კულტურის, მეგლთა და დაცვისა და ტურიზმის ღონისძიებების დაფინანსება	145.4	144.7	99.5
05 06	ხონი-სამტრედიის ეპარქიის დაფინანსება	265.0	265.0	100.0
05 07	კულტურის დაწესებულებათა მშენებლობა-რეაბილიტაცია	37.4	35.5	94.9

(თანხა ათას ლარებში)



5.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში სპორტის სხვადასხვა სახეობაში (ჭიდაობა, ფეხბურთი, ჯადრაკი, ფრენბურთი, კალათბურთი, მკლავჭიდი, რაგბი) ჩატარებულ რაიონულ და საქალაქთაშორისო ტურნირებში მონაწილეობა მიიღეს რაიონის ახალგაზრდებმა. რეაბილიტირდა მინი სპორტული მოედნები.

5.2 სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და სპორტული მოედნების მშენებლობა და რეკონსტრუქცია (პროგრამული კოდი 05 01 01)

სპორტსმენებისათვის ხელშეწყობისა და შესაბამისი პირობების შექმნის მიზნით განხორციელდება სპორტის სხვადასხვა სახეობების ხელშეწყობა. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- 26 მაისს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებული ტურნირი მკლავჭიდასა და ქართულ ჭიდაობაში, ასევე ჩატარდა დოლი.
- სასკოლო სპორტულ ოლიმპიადაში საჯარო სკოლების გუნდების მონაწილეობის უზრუნველყოფა (ფორმები, კვება, ტრანსპორტირება) რეგიონალურ თამაშებში;
- სპორტული ღონისძიებებით აღინიშნა 23 ივნისის ოლიმპიზმის საერთაშორისო დღე;
- ჩატარდა მოყვარულთა ტურნირი ჩოგბურთში 'სამტრედია 2023';

- დაფინანსდა სოფ. გომის ტურნირები ფეხბურთსა და ფრენბურთში.
- 27-28 აგვისტოს ჩატარდა სამტრედიის გრან-პრი ცხენოსნობაში, აღნიშნულ ტურნირში გამარჯვებულები და მსაჯი დაჯილდოვდნენ მედლებით, სიგელებით, ფულადი ჯილდოთი.
- 21 სექტემბერს სოფელ დიდ ჯიხაიში ტრადიციულად გაიმართა დიდი სხვადასხვა დისციპლინაზე, აღნიშნულ ტურნირში გამარჯვებულები და მსაჯი დაჯილდოვდნენ მედლებით, თასით, სიგელებით, ფულადი ჯილდოთი.
- 23-29 სექტემბერს მიმდინარეობდა სკოლების ჩართულობით მსოფლიო ოლიმპიზმის კვირეული სპორტულ თამაშებში
- 14-15 ოქტომბერი ა. მაჩიტაძის სახელობის სამტრედიის მემორიალი ჭადრაკში, გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ თასებით, მედლებით, სიგელებითა და ფულადი პრიზით.
- ოქტომბერ-ნოემბერში ჩატარდა სასკოლო ოლიმპიადის მუნიციპალური თამაშები, გამარჯვებული სკოლების გუნდები მონაწილეობას მიიღებენ რეგიონალურ თამაშებში.
- ჩატარდა ვაჟა ტერელაძის სახელობის საჭადრაკო ერთ დღიან ბლიც-ტურნირი, ტურნირში მონაწილე გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ ფულადი ჯილდოთი.
- დამზადდა საცურაო აუზის რეაბილიტაციამდე არსებული მდგომარეობის ამსახველი ფოტოები.
- 18-19 ნოემბერს ლაშა თევზაძის ქუჩაზე მდებარე ჩოგბურთის კორტებზე ჩატარდა სამტრედიის ღია ტურნირი მოყვარულ ჩოგბურთელთა შორის, აღნიშნულ ტურნირში გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ თასით, სიგელებით, მედლებითა და ფულადი ჯილდოთი.
- სამტრედიის საჭადრაკო სკოლის წარმატებული მოჭადრაკე გიორგი ელაშვილი დაფინანსდა, რომელიც დეკემბერში მონაწილეობას მიიღებს პოლონეთის ქალაქ კრაკოვში გამართულ საჭადრაკო ფესტივალში.
- 13-14-15 დეკემბერს ჩატარდა ვ.ხელისუფალისა და მ. ქიშმარიას სახელობის ღია ტურნირი ხელბურთში

ასევე, პროგრამის ფარგლებში სამტრედიის მუნიციპალიტეტში ხორციელდება სტადიონების მშენებლობისა და რეაბილიტაციის სამუშაოები. ხდება არსებულის განახლება და ახლის მშენებლობა. არსებულმა პროექტმა გამოიწვია ახალგაზრდა თაობის ჩაბმულობა სპორტის სახეობებში, რაც თავისთავად ხელს უწყობს ჯანსაღი თაობის აღზრდისა და განვითარების საქმეს. პროექტით სარგებლობს დაახლოებით 1500-მდე ბენეფიციარი. საანგარიშო წლის განმავლობაში განხორციელდა შემდეგი სტადიონებისა და მინი სტადიონების მშენებლობა-რეაბილიტაცია:

- ქ. სამტრედიის გალაკტიონის ქუჩაზე არსებული სპორტული მოედნის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს კალათბურთის მოედნის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა
- სამტრედიის ეროსი მანჯგალაძის სახელობის სტადიონზე არსებული სპორტული დარბაზის იატაკის სარეაბილიტაციო (დარჩენილი) სამუშაოებისა და ინვენტარით აღჭურვის სამუშაოების შესყიდვა
- ქ. სამტრედია, რუსთაველის ქ. N95 (ს/კ-34.08.57.0333) მინი ფეხბურთის სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოების მრავალწლიანი შესყიდვა
- სამტრედიის მუნიციპალიტეტში სოხუმის ქუჩაზე არსებული საფეხბურთო სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოების მრავალწლიანი შესყიდვა
- ქალაქ სამტრედიის, დავით აღმაშენებლის ქუჩა, III-ჩიხში მინი სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოების
- ქ. სამტრედიის, რობაქიძის ქუჩისა და რობაქიძის ქუჩის მე-3 ჩიხის გადაკვეთასთან მინი სტადიონის და მიმდებარე ტერიტორიის (ფანჩატური, ატრაქციონი) ინფრასტრუქტურული მოწყობის სამუშაოების შესყიდვა
- ქალაქ სამტრედიის, ლაშა თევზაძის ქუჩაზე N 59-60-61 და 62 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მიმდებარე არსებული საფეხბურთო მოედნის სარეაბილიტაციო და ჯემალ ტულუშის ქუჩაზე ფანჩატურის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა
- ქ. სამტრედიის, რუსთაველის ქ. N95-ში ეროსი მანჯგალაძის სახელობის ცენტრალურ მოედანზე მდებარე მინი ფეხბურთის სტადიონის ხელოვნური საფარისათვის რეზინის გრანულების (EPDM) შესყიდვა.
- ქ. სამტრედიის სოხუმის ქუჩაზე არსებული ფეხბურთის მოედანზე ბუნებრივი ბალახის საფარის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა
- ქალაქ სამტრედიის, ბახტაძის ქუჩაზე მინი სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოების მრავალწლიანი შესყიდვა
- ქალაქ სამტრედიის, რუსთაველის N23 ბინის მიმდებარე ტერიტორიაზე სპორტული მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოების მრავალწლიანი შესყიდვა

- სამტრედიის ეროსი მანჯგალადის სახელობის ცენტრალური სტადიონზე არსებული საცურაო აუზის შენობის შიდა ინტერიერის და გარე ტერიტორიის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა

შუალედური შედეგი

გაუმჯობესდა მუნიციპალიტეტში ჯანსაღი თაობის აღზრდისა და განვითარების პირობები.

5.3 ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბი (პროგრამული კოდი 05 01 02 01)

ა(ა)იპ „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბის მიზანია შენარჩუნებულ იქნას ცხენოსნობის ქართული უძველესი ეროვნული სახეობები, მუნიციპალიტეტში ჩატარდეს სპორტული ღონისძიებები, მონაწილეობა მიიღოს საქართველოს ჩემპიონატში, სხვადასხვა მუნიციპალიტეტში გამართულ შეჯიბრებებში და ასახელოს სამტრედია. აღნიშნულიდან გამომდინარე საანგარიშო წლის განმავლობაში განხორციელდა რიგი ღონისძიებები:

2023 წელს 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით განხორციელდა ამხანაგური შეჯიბრი ცხენოსნობაში.

სამტრედიაში ჩატარებულ სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდა 6 საცხენოსნო კლუბი (სამტრედია, ზუგდიდი, ახმეტა, ბათუმი, მარნეული, ჩოხატაური - 42 ცხენოსანი), რომელსაც ესწრებოდა როგორც ადგილობრივი, ისე რეგიონებიდან ჩამოსული მაყურებელი. დაახლოებით 1 000 კაცი.

2023 წელს აგვისტოს თვეში მარიამობის დღესასწაულთან დაკავშირებით ჩატარდა სამტრედიის „გრანპრი“, ცხენოსნობაში. კლუბმა დაიკავა გუნდური პირველი ადგილი.

ასევე კლუბმა მონაწილეობა მიიღო სხვა მუნიციპალიტეტებში გამართულ სპორტულ ღონისძიებებში: ზუგდიდში, ანაკლიაში, ზუგდიდის თასზე გამართულ ღონისძიებაში, ხოლო ოზურგეთში გურიის თასზე გამართულ ღონისძიებაში.

კლუბში ყოველდღიურად მოდის ბევრი ახალგაზრდა ცხენოსნობის შესასწავლად.

შუალედური შედეგი

- ცხენოსნობის ქართული ეროვნული სახეობების პოპულარიზაცია.
- უფრო მეტი ახალგაზრდების მოზიდვა და ჩაბმა ცხენოსნობაში.

5.4 ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლა (პროგრამული კოდი 05 01 02 02)

საანგარიშო პერიოდში გაწეულია ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლა ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯები. ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის პროგრამის ფარგლებში სპორტის სხვადასხვა სახეობაში (ჭადრაკი, მძლეოსნობა, ფეხბურთი, ფრენბურთი, კალათბურთი, კარატე, კიკბოქსინგი) ჩატარებულ რაიონულ, საქალაქთაშორისო და საზღვარგარეთ ტურნირებში მონაწილეობა მიიღეს კომპლექსური სპორტული სკოლის სპორტსმენებმა.

1) ჭადრაკი

მიიღეს მონაწილეობა მსოფლიო ჩემპიონატი მოხვდნენ ათეულში.

საქართველოს 32 - ე ჩემპიონატი 10, 14, 18 წლამდე მჭადრაკეთა შორის უმაღლესი ლიგა.

საერთაშორისო ტურნირი მეორე ადგილი.

ბათუმი „შავი ზღვის დელფინი“ მეორე

იმერეთის ჩემპიონატი მეორე ადგილი.

ქუთაისი მათა ჩიბურდანიძის თასი მეორე

D ლია ტურნირი დაიკავეს 1 ადგილი.

ნანა ალექსანდრიას თასი დაიკავა 1 ადგილი.

იმერეთის ღია საკვალიფიკაციო ტურნირი ჭადრაკში.

ნოე ჟორდანიას თასი. იმერეთის ღია საკვალიფიკაციო ტურნირი.

2) მძლეოსნობა

თბილისის ახალგაზრდობის ღია ჩემპიონატი 2008 – 2009 წლებში დაბადებულთა შორის. 1 ადგილი დაიკავეს

საქართველოს ახალგაზრდობის ჩემპიონატი, 1 ადგილი დაიკავეს.
თბილისის ღია პირველობა.
საქართველოს ზამთრის ღია ეროვნული ჩემპიონატი.
საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი მძლეოსნობაში.
საქართველოს ღია ახალგაზრდული ჩემპიონატი.
საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი მძლეოსნობაში.
საქართველოს გუნდური ჩემპიონატი.

3) კარატე

საერთაშორისო ღია ჩემპიონატი 1 ადგილი.
ესპანეთის ნაციონალური ჩემპიონატი (ესპანეთი) 3 ადგილი.
საერთაშორისო ჩემპიონატი „კავკასიის თასი „ 3 ადგილი.
პოლონეთის : გრამპრი „ კიოკუშინკაი კარატეში 2 ადგილი დაიკავა.
საერთაშორისო ჩემპიონატი „კავკასიის თასი „ 1 ადგილი დაიკავა საერთაშორისო ჩემპიონატი კონტაქტურ კარატეში „ კიოკუშინკაი კარატეში „ 1 ადგილი დაიკავა.
აჭარის ღია ჩემპიონატი კიოკუშინკარატეში.
ძონ სასწავლო პროექტის ჩვენება (ერევანი).
ნაციონალური ჩემპიონატი კიოკუშინკაიკარატეში.
ღია საერთაშორისო ცემპიონატი კიოკუშინკარატეში.
ესპანეთი: ნაციონალური ჩემპიონატი.
კავკასიის თასი.

4) ფრემბურთი

ფრემბურთის ჯგუფი მოხვდა უმაღლეს ლიგაში (მამაკაცები)
საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი „ თოვლის ფრემბურთი“ უმაღლესი ლიგა დაიკავეს 3 ადგილი .
საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი უმაღლესი ლიგა დაიკავეს 3 ადგილი .
ეროვნული ჩემპიონატი უმაღლესი ლიგა მოხვდნენ ხუთეულში .
უმაღლესი ლიგის ჩემპიონატი „ქვიშის ფრემბურთი“ დაიკავეს 2 ადგილი .
აჭარის ღია ჩემპიონატი საპლიაჟო ფრემბურთში (შავი ზღვის ვარსკვლავი)
„შავიზღვის ვარსკვლავი “ ბათუმი
უმაღლესი ლიგის თამაშები პირველი ტური.

5) კინზოგსინგი

რეპუბლიკური ტურნირი (რუსთავის მერიის თასი) დაიკავეს 1 ადგილი, დაიკავა 2 ადგილი.
საქართველოს 30 - ე ჩემპიონატი 1 ადგილი დაიკავეს.

6) ფეხბურთი

იმერეთის ჩემპიონატი U – 14 გუნდმა დაიკავა 2 ადგილი .
სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის 2023წლის ტურნირი ჭაბუკთა გათამაშება. U – 17.

7) კალათბურთი

საქართველოს პირველობა U – 14.
ემბია ჯუნიორი იმერეთი.
საქართველოს ქალთა ლიგა U – 14.

შუალედური შედეგი

- ახალგაზრდობისთვის სპორტულ სექტორებში ჩართულობა, სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობა , სპორტსმენების რაოდენობის ზრდა.
- სპორტის მასობრიობა და პოპულარიზაცია, ნაკრები გუნდების დაკომპლექტება, საქართველოს ნაკრების წევრების აღზრდა, ახალგაზრდობაში ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

5.5 ააიპ საფრენბურთო კლუბი "ჯიკო" (პროგრამული კოდი 05 01 02 03)

საანგარიშო პერიოდში გაწეულია ააიპ საფრენბურთო კლუბი "ჯიკო" ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯები.

2023 წელს ააიპ საფრენბურთო კლუბი „ჯიკო“ წარმოდგენილი იყო ფრენბურთულ ქალთა გუნდით „ჯიკო“, რომელიც 1999 წლიდან მონაწილეობს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში. გუნდი წარმოდგენილია ძირითადად 10 მოთამაშით. გუნდს ემსახურებოდა ორი მწვრთნელი და ექიმი.

კლუბი თავის საქმიანობას წარმართავდა კლუბის დებულების საფუძველზე შედგენილი პროგრამისა და სამუშაო გეგმის შესაბამისად, რომლის ძირითადი მიზანი იყო მუნიციპალიტეტში ზოგადად ფრენბურთის და კონკრეტულად ქალთა ფრენბურთის პოპულარიზაცია-განვითარება და ახალგაზრდებს შორის ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, ბრძოლა საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში საპრიზო ადგილის დასაკავებლად, საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებებისათვის პერსპექტიული მოთამაშეების მიწოდება.

საფრენბურთო კლუბი „ჯიკო“ წარმოდგენილი იყო ფრენბურთულ ქალთა გუნდით „ჯიკო“, რომელმაც საქართველოს 2022-2023 წლების 31-ე ეროვნულ ჩემპიონატში მე-3 საპრიზო ადგილი მოიპოვა და ახალგაზრდულ ნაკრებს ორი წევრი მიაწოდა.

პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი ქვაკუთხედია გუნდის შევსება ადგილობრივი მოთამაშეებით, მაგრამ გარკვეულ მიზეზების გამო გუნდში სამი ფრენბურთელი იქნა მოწვეული.

გუნდის ძირითადი აქტივობა გამოხატული იყო ჩემპიონატის ოფიციალურ შეხვედრებში მონაწილეობით. კერძოდ:

2023 წლის 12-17 მარტს, გუნდი 11 პერსონის შემადგენლობით, მონაწილეობდა ჩემპიონატის მეორე წრის შეხვედრებში ქ. თელავში.

2023 წლის 7-9 აპრილს, გუნდი 11 პერსონის შემადგენლობით, მონაწილეობდა ჩემპიონატის პლეიოფის შეხვედრებში ქ. ცაგერში.

2023 წლის 27-29 აპრილს, გუნდი 11 პერსონის შემადგენლობით, მონაწილეობდა ჩემპიონატის განმეორებით პლეიოფის შეხვედრებში ქ. თელავში.

ფრენბურთის ფედერაციის მიერ დებულებაში შეტანილი ცვლილებების თანახმად საქართველოს 2023-2024 წლების 32-ე ეროვნულ ჩემპიონატის პირველი წრის შეხვედრები დაინიშნა ქ. მცხეთაში ახალი სისტემით.

2023 წლის 11 ნოემბერს, გუნდი 11 პერსონის შემადგენლობით, მონაწილეობდა ჩემპიონატის პირველი წრის პირველ შეხვედრაში ქ. მცხეთაში.

2023 წლის 27 ნოემბერი-1 დეკემბერი, ხუთდღიანი შეკრება, 2 პერსონ.

2023 წლის 2-3 დეკემბერს, გუნდი 11 პერსონის შემადგენლობით, მონაწილეობდა ჩემპიონატის პირველი წრის მეორე-მესამე შეხვედრაში ქ. მცხეთაში,

2023 წლის 15 დეკემბერი, ერთდღიანი შეკრება, 3 პერსონა,

2023 წლის 16 დეკემბერს, გუნდი 11 პერსონის შემადგენლობით, მონაწილეობდა ჩემპიონატის პირველი წრის მეოთხე შეხვედრაში ქ. მცხეთაში,

2023 წლის 23 დეკემბერს, გუნდი 11 პერსონის შემადგენლობით, მონაწილეობდა ჩემპიონატის პირველი წრის მეხუთე შეხვედრაში ქ. მცხეთაში.

შუალედური შედეგი

- ახალგაზრდებისთვის სპორტულ გამაჯანსაღებელ სექტორებში ჩართულობა .
- სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობა.
- სპორტსმენების რაოდენობის ზრდა.

5.6 ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ხელბურთელთა კლუბი "სამტრედია" (პროგრამული კოდი 05 01 02 04)

კლუბში ფუნქციონირებს გოგონათა და ვაჟთა სხვადასხვა ასაკობრივი გუნდები, სულ 95 მოსწავლე. რომელთა საწვრთნელ -ადმინისტრაციით ვარჯიშებს უზრუნველყოფს 2 მწვრთნელი.

2023 წლის სამუშაო გეგმის შესაბამისად კლუბის გუნდებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაციის ეგიდით ჩატარებულ ეროვნულ და ასაკობრივ ჩემპიონატებში და 2023 წელს მიაღწიეს შემდეგ შედეგებს:

1. 2010-11 წწ. დაბ.გოგონათა ახალგაზრდული ჩემპიონატი - 3 ადგილი.
2. 2008-09 წწ. დაბ.ვაჟთა ახალგაზრდული ჩემპიონატი - 3 ადგილი.
3. 2008-09 წწ. დაბ.გოგონათა ახალგაზრდული ჩემპიონატი.
4. საქართველოს 34-ე ეროვნული ჩემპიონატი.
5. ქვიშის ხელბურთი - 2 ადგილი.
6. ქ. წყალტუბოში - როინ მეტრეველის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირში - მე-2 ადგილი.

7. ხელვაჩაურში ომარ ბოლქვაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირში - მე-3 ადგილი.

8. ქ. გორში გამართულ ქ. გორის ღვაწლმოსილი ხელბურთელის მ. ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირში - მე-3 ადგილი.

9. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის დაფინანსებით და მხარდაჭერით ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის ღვაწლმოსილ ხელბურთელთა ვახტანგ ხელისუფალისა და მილერი ქიშმარიას ხსოვნისადმი მიძღვნილი მე-19 საერთაშორისო ტურნირი ხელბურთში (1 ადგილი), რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მეზობელი ქვეყნიდან, კერძოდ, სასომხეთიდან და საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოსულმა გუნდებმა.

კლუბის პერსპექტიული სპორტსმენები ირიცხებიან საქართველოს ნაკრების სხვადასხვა ასაკობრივ გუნდებში.

შუალედური შედეგი

- კლუბმა 2023 წელს შესრულებული სამუშაოს შესაბამისად მოახდინა სპორტის მასობრიობა და პოპულარიზაცია, ნაკრები გუნდების დაკომპლექტება, საქართველოს ნაკრების წევრების აღზრდა, ახალგაზრდებში ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

5.7 შ.პ.ს. "სპორტული კომპლექსი სამტრედია" (პროგრამული კოდი 05 01 02 05)

შპს „სპორტული კომპლექსი-სამტრედია“ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სისტემატურ სპორტულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება მოზარდ თაობაში, მასობრივი სპორტის განვითარება. შპს „სპორტული კომპლექსი-სამტრედია“ არის სამტრედიის ეროსი მანჯგალაძის სახელობის, ცენტრალური საფეხბურთო მოედნის, სპორტული დარბაზის, საცურაო აუზის, მინი საფეხბურთო მოედნების და მისი მიმდებარე ტერიტორიების დროებით მოსარგებლე. მისთვის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ამ ტერიტორიის მოვლა-შენახვა და მოსწავლეთათვის, შპს „სპორტული კომპლექსი-სამტრედია“-ს სპორტსმენთათვის, ქალაქისა და ეროვნული ნაკრები გუნდების წევრებისათვის მატერიალურ-ტექნიკური და საწვრთნელი ბაზის შექმნა და ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფა. მისი მიზანია მაქსიმალურად დამაკმაყოფილებელი პირობების შექმნა მოზარდი თაობების ჯანსაღი ცხოვრების წესით აღზრდაში. ცენტრალური საფეხბურთო მოედანი სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების თანახმად უფასოდ ემსახურება საფეხბურთო სპორტულ კლუბ სამტრედიას და სპორტული სკოლის აღსაზრდელებს. ეხმარება და უზრუნველყოფს მათ მოწესრიგებული ინფრასტრუქტურით და მათი ვარჯიშისა და მატჩებისთვის საუკეთესო პირობებით.

შპს „სპორტული კომპლექსი სამტრედია“-ს ბაზაზე შექმნილია ნორჩ ფეხბურთელთა ასაკობრივი გუნდები, რომელსაც ხემძღვანელობს გამოცდილი მწვრთნელები. 2023 წლის განმავლობაში გუნდებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებში, კერძოდ ქ.საჩხერეში „იური თოდუა“-ს სახელობის ტურნირში, 2023 წლის 17 ნოემბრიდან 20 ნოემბრის ჩათვლით იმერეთის ფეხბურთის ფედერაციის მიერ ჩატარდა „გიორგი აზნაური“-ს სახელობის თასი სადაც ჰქონდათ გარკვეული მიღწევები, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სრული დაფინანსებით დასრულდა საცურაო აუზის და სათადარიგო საფეხბურთო მინი მოედნის სრული რეაბილიტაცია, რომელიც 2023 წლის დეკემბერში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა.

შუალედური შედეგი

- ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური ჩართვა სხვადასხვა სპორტულ საქმიანობაში.
- მომავალი სპორტსმენებისთვის მისაღები გარემოს შექმნა.
- ასევე მოყვარულთა და რიგითი მოქალაქეებისთვის საცურაო აუზით მომსახურეობა.

5.8 ააიპ რაგბის კლუბი "ფენიქსი" (პროგრამული კოდი 05 01 02 06)

2023 წლის განმავლობაში არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „რაგბის კლუბი ფენიქსი“-მ საქმიანობა წარმართა სამტრედიის მუნიციპალიტეტში ვაჟებს შორის, მათ შორის, მოზარდ თაობაში, რაგბის განვითარების ხელშეწყობისა და გაუმჯობესების, მომავალი თაობის ჯანმრთელი და სწორი მიმართულებით განვითარებისა და ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენის, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდისა და მისი დამკვიდრების მიზნით.

2022 წლის აგვისტოდან „რაგბის კლუბი ფენიქსი“ მონაწილობას იღებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ორგანიზებულ 2022-2023 წლების სეზონის საქართველოს შიდა ჩემპიონატში რეგიონალური ლიგის გუნდებს შორის და გუნდის დიდი წარმტებაა რომ რეგიონალურ ლიგაში დავიკავებთ პირველი ადგილი.

„რაგბის კლუბი ფენიქსში“ დაკომპლექტდა ბავშვთა გუნდი. „რაგბის კლუბი ფენიქსი“-ს ასაკობრივი გუნდი მონაწილობას იღებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს მიერ ორგანიზებულ საბავშვო საფესტივალო ლიგის გათამაშებაში.

„რაგბის კლუბი ფენიქსში“ ბავშვთა გუნდის ჩამოყალიბება მიზნად ისახავს ერთის მხრივ, მომავალი თაობის ჯანმრთელი და სწორი მიმართულებით განვითარებასა და ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდასა და დამკვიდრებას, ხოლო მეორეს მხრივ, ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენას, რომლებიც ჩაენაცვლებიან ამჟამად რეგიონალური ლიგის გუნდის მოთამაშეებს. გაიზარდა ბავშვთა რაოდენობა რაც ამჟამად შეადგენს 120 ბავშვს.

შუალედური შედეგი

- მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიერ განხორციელებულმა სუბსიდიამ და დაწესებული შეღავათების არსებობამ სოციალურად მძიმე ვითარების მიუხედავად, უზრუნველყო სპორტის მეტნაკლებად შეუფერხებელი განვითარება, ახალგაზრდა მომავალი თაობის ჩაბმა სპორტში.

5.9 ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი "ფალავანი" (პროგრამული კოდი 05 01 02 07)

საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი "ფალავანი"-ს ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯები. კლუბში ფუნქციონირებს ჭიდაობის 5 სახეობა: თავისუფალი, ბერძნულ/რომაული, მიუდო, სამბო და ქართული, რომელშიც გაწევრიანებულია 290-მდე მოსწავლე-სპორტსმენი, რომელთა საწვრთნელ-ადმინისტრაციული საქმიანობას უზრუნველყოფს 17 მწვრთნელ-მასწავლებელი. მათ შორის 6 საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

2023 წელს დაბა კულაშის სპორტულ დარბაზში საჭიდაო კლუბმა ჩაატარა ტრადიციულად დაღუპული ირაკლი ჯოჯუას ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი თავისუფალი სტილით ჭიდაობაში 2012-13წ და 2007-09წწ-ში დაბადებულ სპორტსმენთა შორის, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს 200-მდე მოჭიდავემ. საჭიდაო კლუბ ფალავანში აღზრდილმა სპორტსმენებმა სხვადასხვა რანგის 60-მდე სამხარეო, რესპუბლიკურ და საერთაშორისო ტურნირებში მიიღეს მონაწილეობა. მათ შორის, სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში სახეობების შესაბამისად 20-მდე საქართველოს ჩემპიონატზე იასპარეხეს და შესაბამისად დაიკავეს სხვადასხვა საპრიზო ადგილები, რომელთა შორის მოპოვებული წარმატებიდან გამომდინარე კლუბს ჰყავს 16 საქართველოს ნაკრების წევრი, 2023წელს თ/ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის ევროპის ჩემპიონატზე ჩვენი კლუბის აღზრდილმა პირველი საპრიზო ადგილი დაიკავა. ასევე, თავისუფალ ჭიდაობაში ევროპის ჩემპიონატზე დიდებს შორის მესამე საპრიზო ადგილი.

წარმატებული სპორტსმენები, რომლებიც წარმოადგენენ სამტრედიის მუნიციპალიტეტს და ასახელებენ მას, საქართველოსა და მის საზღვრებს გარეთაც.

შუალედური შედეგი

- ფუნქციონირებს სპორტული ჯგუფები და სექციები თავისუფალ, ბ/რომაულ, ქართულ ჭიდაობაში, მიუდოსა და სამბოში.
- კლუბის სპორტსმენები ვარჯიშობს კომფორტულ და ინფრასტრუქტურით გამართულ საჭიდაო დარბაზებში, რომელთაც 2022 წელს ჩაუტარდათ სარეაბილტაციო სამუშაოები.

5.10 ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის დ.შანიძის სახ. N 1 სახელოვნებო სკოლა (პროგრამული კოდი 05 02 01 01)

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი სამტრედიის მუნიციპალიტეტის დომენტი შანიძის სახელობის N1 სახელოვნებო სკოლაში ირიცხება 211 მოსწავლე. სახელოვნებო სკოლაში ფუნქციონირებს საფორტეპიანო, საორგესტრო, ვოკალური, საესტრადო და ქართულ-ხალხურ საკრავთა განყოფილებები. მათ მუსიკალურ განათლებაზე ზრუნავს კვალიფიციური პედაგოგები. ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის

დომენტი შანიძის სახელობის N1 სახელოვნებო სკოლა კონკურსების, ფესტივალების და სხვა ღონისძიებების საშუალებით ავლენს და წარმოაჩენს განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებულ მოსწავლეებს და ამზადებს უმაღლესი სამუსიკო სასწავლებლისათვის.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი სამტრედიის მუნიციპალიტეტის დომენტი შანიძის სახელობის N1 სახელოვნებო სკოლის მოსწავლეებმა 2023 წელში მონაწილეობა მიიღეს და დაჯილდოვდნენ სიგელებით სხვადასხვა კონკურსებსა, ფესტივალებზე და ღონისძიებებზე , კერძოდ:

1. ქ. ზესტაფონი ქართული მუსიკის მე-7 ეროვნული კონკურსი, თავმჯდომარე ვალერიან შიუკაშვილი. მონაწილეობა მიიღო საორკესტრო განყოფილების მოსწავლეებმა და დაჯილდოვდნენ I ხარისხის დიპლომით. სახელოვნებო სკოლის საორკესტრო განყოფილების მოსწავლე ვალერიან შიუკაშვილის სტიპენდიის მფლობელი გახდა, ხოლო მის პედაგოგს გადაეცა საუკეთესო პედაგოგის წოდების დიპლომი.

2. ქ.თბილისი ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური მუსიკის XV რესპუბლიკური ფესტივალ-კონკურსი „იპოვე შენი ვარსკვლავი“-2023 წელი. მონაწილეობა მიიღეს საორკესტრო განყოფილების მოსწავლეებმა და დაჯილდოვდნენ I ხარისხის დიპლომით.

3. ქ. თბილისი ხელოვანთა აკადემია თავმჯდომარე ვალერიან შიუკაშვილი. მონაწილეობა მიიღეს საორკესტრო განყოფილების მოსწავლეებმა და დაჯილდოვდნენ I ხარისხის დიპლომით.

4. ქ. ქუთაისი - კლასიკური მუსიკის საყმაწვილო ფესტივალი „დეღვიადა“-2023 წელი. მონაწილეობა მიიღეს საფორტეპიანო და ვოკალური განყოფილებების მოსწავლეებმა და დაჯილდოვდნენ I ხარისხის დიპლომებითა და გრამპრით.

5. ქ. ბორჯომი ქართული ფონკლორისა და კლასიკური მუსიკის განვითარების კავშირი კონკუს-ფესტივალი „ჰარმონია“-2023 წელი. მონაწილეობა მიიღო საორკესტრო განყოფილების მოსწავლეებმა.

6. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ხელოვანთა დარბაზში ჩატარდა ქალთა საერთაშორისო დღის 8 მარტისადმი მიძღვნილი ღონისძიება. მონაწილეობა მიიღო საორკესტრო განყოფილების მოსწავლეებმა.

7. დიდი ჯიხაიშის ნიკო ნიკოლაძის სახელობის სახლ-მუზეუმისა და სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის მჭიდრო თანამშრომლობით ჩატარდა მუზეუმების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება. მონაწილეობა მიიღეს საორკესტრო განყოფილების მოსწავლეებმა.

8. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ხელოვანთა დარბაზში ჩატარდა სამუსიკო და სახელოვნებო სკოლების წლის შემაჯამებელი კონცერტი. მონაწილეობა მიიღო საორკესტრო და ვოკალური განყოფილებების მოსწავლეებმა. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიამ მადლობის სიგელი გადასცა ა.ა.ი.პ სამტრედიის მუნიციპალიტეტის დომენტი შანიძის სახელობის N1 სახელოვნებო სკოლას.

9. ქ. თბილისი ხელოვანთა აკადემია თავმჯდომარე ვალერიან შიუკაშვილმა საპატიო სიგელით დააჯილდოვა ღვაწლმოსილი პედაგოგები, ნიჭიერი ახალგაზრდა თაობის აღზრდაში და ქალაქის მუსიკალურ-საგანმანათლებლო სივრცეში შეტანილი წვლილისათვის.

ხელოვნების აკადემიის საპატიო წევრის წოდება მიენიჭა ა.ა.ი.პ სამტრედიის მუნიციპალიტეტის დომენტი შანიძის სახელობის N1 სახელოვნებო სკოლის დირექტორს ირმა შანიძეს საერთაშორისო და ეროვნულ კონკურს-ფესტივალებში მიღწეული წარმატებებისათვის ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმეში და ქალაქის მუსიკალური ცხოვრების განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის.

10. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ხელოვანთა დარბაზში ჩატარდა საორკესტრო განყოფილების ღია აკადემიური კონცერტი.

11. ჩატარდა საესტრადო განყოფილების კონცერტი.

12. ჩატარდა გამოსაშვები გამოცდები.

13. ჩატარდა კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდები.

14. ჩატარდა I კლასელთა მოსმენა.

15. ჩატარდა დახურული კონცერტები განყოფილებების მიხედვით.

16. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის დარბაზში გაიმართა სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ღვაწლმოსილი, დამსახურებული ადამიანების დაჯილდოება. მონაწილეობა მიიღეს საორკესტრო, ვოკალური, საესტრადო და ხალხურ-საკრავების განყოფილების მოსწავლეებმა.

17. საორკესტრო, ვოკალური, საესტრადო და ხალხურ-საკრავთა განყოფილების მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს საახალწლო ღონისძიებებში.

შუალედური შედეგი

- სახელოვნებო განათლების არამოთხოვნადი სპეციალობების შენარჩუნება კულტურის მიმართულების ღონისძიებების განხორციელებით.

5.11 ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის N2 სამუსიკო სკოლა (პროგრამული კოდი 05 02 01 02)

N2 სამუსიკო სკოლა სკოლის გარეშე სახელოვნებო-საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელშიც ფუნქციონირებს საფორტეპიანო და საორკესტრო განყოფილება. 2023 სასწავლო წლის მდომარეობით სკოლაში ირიცხება 130 მოსწავლე. აქედან 45 ვაჟი და 85 გოგონა. სწავლის გადასახადი თვეში 1 ზავშვზე შეადგენს 10 ლარს.

2023 წლის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული იყო და შესრულდა:

სასწავლო გეგმის შედგენა-დამტკიცება(მეორე სემესტრი) საკონტროლო გაკვეთილები(საფორტეპიანო და თეორიულ საგნებში) საგაზაფხულო კონცერტი, რომელიც მიემდგვნა დედის დღეს და მონაწილეობა მიიღო საორკესტრო კლასის მოსწავლეებმა, ჩვენი სკოლის საფორტეპიანო კლასის მოსწავლემ დაუკრა სამტრედიის მერიის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში.

ქუთაისის N2 სამუსიკო სკოლაში გაიმართა მე-3 ეროვნული თეორიული კონფერენცია“თაობათა ცვლა--2023“. წარდგენილი იყო მე-5 კლასის მოსწავლე თემით: “ჩემი კუთხის სიმღერა“. მოსწავლე დაჯილდოვდა საერთაშორისო ხარისხის დიპლომით.

სენაკში გამართულ რეგიონალურ ფესტივალზე“არტ-ფესტივალი 2023“, რომელიც უკვე 10 წლისაა და მიენიჭა საერთაშორისო ფესტივალის სტატუსი, მონაწილეობდა სკოლის მოსწავლეთა ფოლკლორული ანსამბლი“ მომავლის ბიჭები“ და საფორტეპიანო განყოფილების მე-4 კლასის მოსწავლე. დაჯილდოებული იქნა საპატიო დიპლომებით. ასევე სკოლას გადაეცა მადლობის სიგელი.

ქუთაისის რეგიონალური ფესტივალი“ დელფიანა -2023წ“ მონაწილეობდა სამუსიკო სკოლის საფორტეპიანო და საორკესტრო განყოფილების მოსწავლეები. ადგილები ასე გადანაწილდა: 2 მოსწ--მე 2 ხარისხის დიპლომი. 4 მოსწავლე--პირველი ხარისხის დიპლომი. 3 მოსწავლე --გრანპრი. ასევე, სკოლის ფოლკლორულმა ანსამბლმა მიიღო გრანპრი. მადლობის სიგელები გადაეცათ ფესტივალში მონაწილე მოსწავლეების პედაგოგებსა და დირექტორს.

2023 სასწავლო წლის დასასრულს სკოლაში გაიმართა მოსწავლეთა წლის აკადემიური კონცერტი. მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები. სამუსიკო სკოლა დაამთავრა 23 მოსწავლეზე.

ქალაქის მერიამ სახელოვნებო სკოლების შემაჯამებელ კონცერტზე გაწეული სამუშაოებისათვის მადლობის სიგელით დააჯილდოვა სკოლა .

დეკემბრის თვეში ჩატარდა დახურული კონცერტები პედაგოგების მიხედვით. 26 დეკემბერს სკოლის მოსწავლეთა მიერ საახალწლო კარნავალი გაიმართა.

შუალედური შედეგი

- სამუსიკო განათლების სპეციალობების შენარჩუნება კულტურის მიმართულების ღონისძიებების განხორციელებით

5.12 ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ. ტოლების სამუსიკო სკოლა (პროგრამული კოდი 05 02 01 03)

ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლების სამუსიკო სკოლა არის სკოლის გარეშე სახელოვნებო-საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც მოსწავლეს აძლევს დაწყებით სამუსიკო განათლებას, რაც თავის მხრივ ემსახურება მოზარდთა მხატვრული აზროვნების, გემოვნების, წარმოსახვისა და ანალიზის უნარის ჩამოყალიბებას, ინტელექტუალური და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარებას.

2023 წელს სამუსიკო სკოლაში სიით 52 მოსწავლე ირიცხებოდა. აქედან 28 მოსწავლე ხალხური საკრავების განყოფილებაზე, ხოლო 24 საფორტეპიანო განყოფილებაზე.

2023 წლის იანვრიდან 2023 წლის დეკემბრის ჩათვლით სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები ჩატარდა წარმატებით, კერძოდ:

- შიდა დახურული კონცერტი როგორც საფორტეპიანო, ასევე, ხალხურ საკრავთა განყოფილების მოსწავლეების მონაწილეობით კულტურის სამსახურის წარმომადგენელმა შეაფასა პედაგოგების ნაყოფიერი მუშაობის შედეგები.

- დედის დღესთან მიძღვნილი კონცერტი, ასევე, ტოლების სამუსიკო სკოლაში ჩატარდა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღია აკადემიური კონცერტი, რომელსაც ესწრებოდა კულტურის სამსახურის წარმომადგენლები. სკოლის დირექტორმა პედაგოგებმა და ბავშვებმა მადლობა დაიმსახურეს.
- ტოლების სამუსიკო სკოლამ მონაწილეობა მიიღო სენაკის არტ.ფესტივალში ხელოვნების აკადემიის დირექტორის ბატონ ვალერიან შიუკაშვილის ხელმძღვანელობით. სამუსიკო სკოლამ მიიღო საპატიო სიგელი, ხოლო მონაწილე ბავშვები დაჯილდოვდნენ დიპლომებით და საპატიო სიგელებით. ფესტივალში მონაწილეობა მიიღო 22 ბავშვმა.
- ღია აკადემიური შემაჯამებელი კონცერტი. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკონცერტო დარბაზში. ასევე, ტოლების სამუსიკო სკოლის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს ქუთაისის კონსერვატორიაში ახალგაზდულ ფესტივალ დელფიადამი ყველა მონაწილე ბავშვი დაჯილდოვდა გრამპრით.
- ჩატარდა ტექნიკური ჩათვლები, დახურული კონცერტი. ასევე, საახალწლო ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობდა სამუსიკო სკოლის ყველა მოსწავლე.

შუალედური შედეგი

- სამუსიკო განათლების სპეციალობების შენარჩუნება კულტურის მიმართულების ღონისძიებების განხორციელებით.

5.13 ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლა (პროგრამული კოდი 05 02 01 04)

სკოლაში ფუნქციონირებს საფორტეპიანო და ხალხური საკრავების (ფანდური) განყოფილება. სასწავლო პროცესი წარიმართა სამუსიკო, საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად, რომელიც მორგებულია ყველა ბავშვის ინდივიდუალურ მონაცემებსა და შესაძლებლობებზე. მოსწავლეთა რაოდენობა 2023 წლის ბოლოს შეადგენდა 87 ბავშვს. მათ შორის 69 მოსწავლე საფორტეპიანო განყოფილებაზე, 18 მოსწავლე კი ხალხურ საკრავთა განყოფილებაზე.

სკოლაში განხორციელდა გეგმით განსაზღვრული შემდეგი ღონისძიებები:

N	თარიღი	ღონისძიება
1	16.01.2023-01.02.2023	მოსწავლეთათვის წლის მეორე ნახევრისა და საგამოცდო ნაწარმოებების მოძიება შერჩევა
2	01.02.2023-10.02.2023	სასწავლო გეგმების დამტკიცება,(მოსწავლეთა პირადი საქმეები)
3	20.01.2023-10.02.2023	სასწავლო დოკუმენტაციის მოწესრიგება (ცვლილებები სამეცადინო ცხრილებში, ჟურნალებში, გეგმებში)
4	14.03.2023-დან თვის ყოველ მეორე და მეოთხე სამშაბათს	დახურული კონცერტები
5	24.03.2023	ჩათვლები: ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებები. III-VI კლასები
6	21.04.2023	ჩათვლები: პოლიფონია ქართველი კომპოზიტორების შემოქმედებაში. III-VI კლასები
7	09.03.2023	ქალთა დღისადმი მიძღვნილი კონცერტი
8		კლასიდან-კლასში გადასაყვანი გამოცდები
	20.05.2023	ქ.სენაკში გამართულ არტ ფესტივალზე წარმატებული მონაწილეობა ჩვენი მოსწავლეების: ანასტასია კონსტანტინიდის და ხალხურ საკრავთა ტრიოს მონაწილეობა. მოსწავლეები დაწილდოვდნენ საპატიო სიგელებით.ანასტასია კონსტანტინიდი გახდა ფესტივალის დამფუძნებელი და ჟიურის თავმჯდომარის ვალერიან შიუკაშვილის სტიპენდიანტი
9		გამოსაშვები გამოცდები
10	02.06.2023	შემაჯამებელი აკადემიური კონცერტი

11	13.06.2023	III კლასის მოსწავლის ანასტასია კონსტანტინიძის კონცერტი. პედ. თ. ხურცილავა
12	01.10.2023-05.10.2023-მდე	მოსწავლეთა კონტიგენტის შევსება, განახლება
13	15.10.2023-20.10.2023	სასწავლო დოკუმენტაციის მოწესრიგება (ცვლილებები სამეცადინო ცხრილებში, ჟურნალებში, გეგმებში)
14	20.10.2023-30.10.2023	მოსწავლეთა ინდივიდუალურ გეგმებზე მუშაობა
15	14.11.2023-დან თვის ყოველ მეორე და მეოთხე სამშაბათს	დახურული კონცერტები
16	21.11.2023	ჩათვლა გამებში პროგრამის მიხედვით
17		ღია გაკვეთილები: პედაგოგები: ნ. თავაძე, ნ. გეგუჩაძე, ფ. ცოტაძე.
18	12.12.2023	პირველკლასელთა მოსმენა
19	19.12.2023	დამამთავრებელ კლასელთა მოსმენა
20	26.12.2023	საახალწლო კონცერტი

შუალედური შედეგი:

- მოსწავლეთა მასიური ჩართულობა კულტურულ-შემოქმედებით ცხოვრებაში, სკოლაში მიღებული ცოდნის მაქსიმალური გამოჩენა.

5.14 ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ. დ.ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლა (პროგრამული კოდი 05 02 01 05)

სოფელ დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლა არის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით შექმნილი სკოლის გარეშე სახელოვნებო-საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს სახელოვნებო-საგანმანათლებლო პროგრამებს ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების გარეშე დაწყებით საფეხურზე.

სახელოვნებო სკოლაში ირიცხება 114 მოსწავლე, რომელთა სწავლა-აღზრდის საქმეს ემსახურება 17 თანამშრომელი. სწავლის გადასახადი თვეში ერთ მოსწავლეზე შეადგენს 8 ლარს. საკუთარი სახსრებით ნაწილობრივ ფინანსდება ხელფასი. სუბსიდიით ფინანსდება ხელფასები და სხვა მიმდინარე ხარჯი.

2023 წელს ჩატარდა ყველა სადღესასწაულო დღისადმი მიძღვნილი საკონცერტო ღონისძიებები. მოეწყო სამხატვრო გამოფენა. ჩატარებული იქნა გეგმით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება: ჩათვლები გამებსა და ეტიუდებში, ღია გაკვეთილები, დამამთავრებელი კლასის მოსმენები, დახურული კონცერტები და სხვა.

17 მაისს სახელოვნებო სკოლის საფორტეპიანო განყოფილების მოსწავლეებმა, გუნდმა და ხალხურმა ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო კონკურს-ფესტივალ „სენაკი 2023“, სადაც დაჯილდოვდნენ საპატიო სიგელებითა და დიპლომებით.

სახელოვნებო სკოლაში ჩატარდა ზაგუმთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი კონცერტი, ხოლო სამხატვრო განყოფილებამ მონაწილეობა მიიღო სამტრედიის გამართულ ამ დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში.

17 ივნისს სახელოვნებო სკოლის საფორტეპიანო და ხალხურმა განყოფილებამ მონაწილეობა მიიღო კლასიკური მუსიკის საყმაწვილო ფესტივალ „დეღფიადა 2023“ ქუთაისის კონსერვატორიაში, სადაც დაჯილდოვდნენ გრან-პრით და პირველი ხარისხის დიპლომებით.

ქორეოგრაფიულმა განყოფილებამ მონაწილეობა მიიღო ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში გამართულ ფესტივალებში (ბათუმი, თბილისი ქობულეთი ქუთაისი). დაჯილდოვდნენ სიგელებით.

ნიკო ნიკოლაძის სახელმწიფო ნიკოპოლის კვირეულში, მონაწილეობა მიიღო სახელოვნებო სკოლის ყველა განყოფილებამ.

სამხატვრო გამოფენამ მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ღონისძიებებში. დეკემბრის თვეში სახელოვნებო სკოლაში ჩატარდა დახურული კონცერტები და საახალწლო კონცერტი.

2023 წელს გეგმით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება წარმატებით იქნა შესრულებული.

შუალედური შედეგი

- სამუსიკო განათლების სპეციალობების შენარჩუნება კულტურის მიმართულების ღონისძიებების განხორციელებით

5.15 ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლა (პროგრამული კოდი 05 02 01 06)

ა.ა.იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლის პროგრამა გათვლილია დაწყებითი სამუსიკო განათლების სასწავლო გეგმაზე. (სწავლის ხანგრძლივობა 6 წელი) სწავლის ღირებულება შეადგენს თვეში 7 ლარს. სკოლაში ირიცხება 73 მოსწავლე.

2023 წლის I იანვრის მდგომარეობით სამუსიკო სკოლაში დაკომპლექტდა 13 თანამშრომლით. სამუსიკო სკოლაში ფუნქციონირებს საფორტეპიანო, ხალხური საკრავების (ფანდური, დოლი, ტამტამი, ჩონგური) და ქორეოგრაფიული განყოფილება. სასწავლო პროცესი წარმართება სამუსიკო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად, რომელიც მორგებულია ყველა ბავშვის ინდივიდუალურ მონაცემებსა და შესაძლებლობებზე.

2023 წლის განმავლობაში დაბა კულაშის სამუსიკო სკოლაში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

1. გამოსაშვები გამოცდები.
2. კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდები.
3. მისაღები გამოცდები.
4. პირველ კლასეთა მოსმენა.
5. დახურული კონცერტი.
6. ტექნიკური ჩათვლები ეტიუდებსა და გამებში.
7. შემაჯამებელი კონცერტი.
8. ღია გაკვეთილები (პედაგოგები) ქ გოგია ნ.არველაძე ნ რუხაძე.
9. საახალწლო კონცერტი.
10. აპრილის თვეში სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით ჩატარებულ გრიგოლ პაქსაშვილის ხსოვნის საღამოზე მონაწილეობა მიიღო სკოლის ქორეოგრაფიულმა ანსაზლმა, სადაც მონაწილეობა მიიღო 22- მა მოსწავლემ.
11. მაისის თვეში ქორეოგრაფიულმა ჯგუფმა მონაწილეობა მიიღო წყალტუბოში გოგი ცაგარეიშვილის 70 წლის განხორციელებულ ფესტივალში, სადაც მონაწილეობა მიიღო 22-მა მოსწავლემ.
12. მაისის თვეში მონაწილეობა მიიღო სკოლის ფორტეპიანოს და ხალხურ საკრავთა განყოფილებამ ქ. სენაკში გამართულ „სენაკის არტ ფესტივალი 2023“-ში რომელიც ჩატარდა ხელოვნების აკადემიის ვალერიან შიუკაშვილის მიერ სადაც დაჯილდოვდნენ სიგელებით და დიპლომებით. სადაც მონაწილეობა მიიღო 30-მა მოსწავლემ.
13. ივნისის თვეში მონაწილეობა მიიღო ქ.ქუთაისი კლასიკური მუსიკის საყმაწვილო ფესტივალში „დელოფიადა 2023“-ში. აღნიშნულ ღონისძიებაში სკოლის პედაგოგები და მოსწავლეები დაჯილდოვებული იქნა დიპლომებით, მონაწილეობდა 35 მოსწავლე.
14. ხელოვნების აკადემიის წოდება მიენიჭა დაბა კულაშის სამუსიკო სკოლას.
15. ივნისის თვეში ჩატარდა სკოლის აკადემიური კონცერტი.

შუალედური შედეგები:

მოსწავლეთა მასიური ჩართულობა-შემოქმედით ცხოვრებაში. კონკურსის და ფესტივალების საშუალებებით მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებულ მოზარდთა გამოვლენა. მუსიკალური მიღწევების გაუმჯობესება.

5.16 ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეა (პროგრამული კოდი 05 02 01 07)

ა.ა.ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეა არის სახელოვნებო- საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს კულტურულ - საგანმანათლებლო და სახელოვნებო სამხატვრო პროგრამებს, როგორც პროფესიონალ მხატვართათვის, ასევე, მოსწავლე ახალგაზრდობისთვის.

2023 წლის იანვრიდან სამხატვრო სკოლა -გალერეა მიზნად ისახავდა და განახორციელა სხვადასხვა სახის ღონისძიებებში ჩართულობა და ორგანიზება, კერძოდ:

- 1) 17-18-19. 02. 2023. საერთაშორისო ფესტივალი „ბაკურიანი-2023“.

- 2) 7.03.02023. ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი გამოფენა-გაყიდვა „მირკანი-2023“ (განხორციელდა მუნიციპალიტეტის მერიისა და კულტურის სამსახურის მხარდაჭერით).
- 3) 09.04.2023 თბილისი. ბავშვთა ნახატების გამოფენა -გაყიდვა, მიეძღვნა 9-პირილს.
- 4) 16.05.2023. ნიკო ნიკოლაძის სახლ- მუზეუმი, ბავშვთა ნახატების დათვალიერება-კონკურსი სახელწოდებით „ჩვენი მუნიციპალიტეტის საგანძური“ .
- 5) 26.06.2023 პროფესიონალ მხატვართა და თვითნასწავლ ოსტატთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა, გამოფენა მიეძღვნა საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს.
- 6) 1.06.2023 ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ბავშვთა და მოზარდთა ნამუშევრების დათვალიერება-გამოფენა.
- 7) 10.06.2023 „მასტერ-კლასი“ მუშაობა ღია პლენერზე. („ილორის დენდროლოგიური პარკი“).
- 8) 11.07.2023 ბათუმი. საერთაშორისო ფესტივალი „ART UNITES US“ „ბათუმი 2023“ ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი ჯგუფების დათვალიერება.
- 9) 18.09.2023 ფერწერული ნამუშევრების გამოფენა გალერეა „ვარლა“-ში ქუთაისი. სამტრედიელი მხატვრების მონაწილეობით.
- 10) 25-26-ნოემბერი ქ. თელავი საერთაშორისო ფესტივალი. ბავშვთა და მოზარდთა ფერწერული და ხელნაკეთ ნივთების გამოფენა-გაყიდვა.
- 11) 10.12.2023 ინტელექტუალურ შემეცნებითი გამოფენა თემაზე „არა ძალადობას, არა ბულინგს“.
- 12) 22.12.2023 გამოფენა თემაზე „ქართული ხატწერა, კალიგრაფია და საზედაო ასოების ხელწერა“.

შუალედური შედეგი

- მოზარდი თაობის დაინტერესება ხელოვნების, კერძოდ სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგის მიმართ.
- მუნიციპალიტეტში მოღვაწე პროფესიონალი მხატვრების გაერთიანება, მათი შემოქმედების პროპაგანდა და მათ ჩართულობა ქვეყნის კულტურულ- საგანმანათლებლო და სახელოვნებო სფეროში.

5.17 ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 02)

ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის მიზანია კულტურის, ხელოვნების, შემეცნებითი, საგანმანათლებლო მოღვაწეობა. ახალი თაობის აღზრდა სახელოვნებო სფეროში. კულტურისა და ხელოვნების ყველა დარგის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია.

ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრმა 2023 წლის განმავლობაში უზრუნველყო ღონისძიებები:

- 1) საახალწლო კონცერტი - კულტურის ცენტრის ვოკალური ანსამბლი „იმედი“- (ხელმძღვანელი ანა აბზიანიძე).
- 2) კულტურის ცენტრის თოჯინების თეატრის სპექტაკლების ჩვენება.
- 3) დრამატული თეატრის სპექტაკლი „სასტუმრო ორი სამყაროს გასაყარზე“ რეჟისორი -ვეფხვია ნადირაძე.
- 4) ანსამბლ „იმედი“-ს კონცერტი ქართული კინომუსიკა „ზღაპარი ზღაპარში“ (ხელმძღვანელი ანა აბზიანიძე).
- 5) თოჯინების თეატრის სპექტაკლი „რწყილი და ჭიანჭველა“ რეჟისორი - ლევან გაბრიჭიძე. „ურჩი ბაჭია“ - რეჟისორი ვეფხვია ნადირაძე.
- 6) დრამატული თეატრის სპექტაკლი „თორმეტი განრისხებული მამაკაცი“ დამდგმელი რეჟისორი - გიორგი სიხარულიძე, რეჟისორი - ვეფხვია ნადირაძე.
- 7) მერაბ პაქსაშვილის ხსოვნის საღამო სამტრედიის მერიისა და კულტურის ცენტრის ორგანიზებით.
- 8) დრამატული თეატრის სპექტაკლის პრემიერა ანტონ ჩეხოვი „პალატა N6“-რეჟისორი ლორიტა ჯორჯიკია.
- 9) ტრადიციული სახალხო დღესასწაული „ნიკოლოზა“ ნიკო ნიკოლაძე 180 -თან დაკავშირებით თეატრალური წარმოდგენა „მოგზაურობა ნიკოს ეპოქაში“.
- 10) თოჯინების თეატრის სპექტაკლი „რწყილი და ჭიანჭველა“ რეჟისორი - ლევან გაბრიჭიძე.

- 11) ანსამბლ „იმედი“-ს კონცერტი-„ყინულის მეფე“- ხელ- ლი ანა აბზიანიძე. ლეილა რუხაძე.
- 12) საახალწლო-საშობაო სპექტაკლი „შობის დამის სიზმარი“.

2023 წლის განმავლობაში განხორციელდა დრამატული თეატრის ერთი სპექტაკლის პრემიერა, პარალელურად მიმდინარეობდა დრამატული თეატრის, თოჯინების თეატრის სპექტაკლების და რიგითი ღონისძიებების ჩვენება.

ღონისძიებები: (ადგილზე, გასვლითი)

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ორგანიზებით ჩატარებულ ღონისძიებებში მონაწილეობას იღებდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის შემოქმედებითი კოლექტივები.

1. ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის დრამატულმა თეატრმა მონაწილეობა მიიღო თეატრალური ფესტივალი „იმერეთი“ -2023-ში სპექტაკლით „12 განრისხებული მამაკაცი“ (კოპროდუქცია დმანისის ზინაიდა კვერენჩილაძის სახელობის სახელმწიფო პროფესიულ თეატრთან ერთად)

ფესტივალზე ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის დრამატული თეატრი დაჯილდოვდა 2 ნომინაციაში: 1. პრიზი ახალგაზრდა მამაკაცის საუკეთესო როლი. 2. ჟიურის სპეციალური პრიზი -, საუკეთესო სპექტაკლი”.

ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის დრამატულმა თეატრმა მონაწილეობა მიიღო სიღნაღში თეატრალურ ფესტივალზე სპექტაკლით „12 განრისხებული მამაკაცი“ (კოპროდუქცია დმანისის ზინაიდა კვერენჩილაძის სახელობის სახელმწიფო პროფესიულ თეატრთან ერთად). სადაც დაიმსახურა მესამე საპრიზო ადგილი.(ფსიხიკი და ფულადი პრემია 5000 ლარის ოდენობით)

ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის დრამატული თეატრი იმყოფებოდა გასტროლზე ქ.თბილისში მიხეილ თუმანიშვილის სახელობის დრამატულ თეატრში სპექტაკლით „12 განრისხებული მამაკაცი“ (კოპროდუქცია დმანისის ზინაიდა კვერენჩილაძის სახელობის სახელმწიფო პროფესიულ თეატრთან ერთად)

ქ. აბაშაში მიწვევით ნაჩვენები იქნა თეატრის საახალწლო -საშობაო შოუ სპექტაკლი „შობის დამის სიზმარი“

2. ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის ქალთა ანსამბლმა „ათინათმა“ მონაწილეობა მიიღო შემდეგ ღონისძიებებში:

1. ქ.თბილისი ქართველ ქალთა ტრადიციული მუსიკის ფესტივალი,„ნანინა“
2. 26 მაისთან დაკავშირებული ღონისძიება.
3. ქ.ზესტაფონი ვარიანკა წერეთლის სახელობის ლირიული სიმღერების კონკურს-ფესტივალი „სულიკო“-2023 წ
4. ქ. თბილისი -,„თბილისობის“ დღესასწაული.
5. ტრადიციული სახალხო დღესასწაული „ნიკოობა“ ნიკო ნიკოლაძე 180 -თან დაკავშირებით თეატრალური წარმოდგენა „მოგზაურობა ნიკოს ეპოქაში“

3. ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის ვაჟთა ანსამბლმა „სამტრედია“-მ მონაწილეობა მიიღო შემდეგ ღონისძიებებში:

1. საახალწლო-საშობაო კონცერტი.
2. 26 მაისთან დაკავშირებული ღონისძიება.
3. სამტრედიის სპორტული კომპლექსის გახსნა - საკონცერტო პროგრამაში მონაწილეობა.
4. ტრადიციული სახალხო დღესასწაული „ნიკოობა“ ნიკო ნიკოლაძე 180 -თან დაკავშირებით თეატრალური წარმოდგენა „მოგზაურობა ნიკოს ეპოქაში“.

4 ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის მგალობელ-მომღერალთა გუნდმა „მასპინძელმა“ მონაწილეობა მიიღო შემდეგ ღონისძიებებში:

1. საახალწლო ღონისძიება.
2. საშობაო ღონისძიება.
3. ტრადიციული სახალხო დღესასწაული „ნიკოობა“ ნიკო ნიკოლაძე 180 -თან დაკავშირებით თეატრალური წარმოდგენა „მოგზაურობა ნიკოს ეპოქაში“

5 . ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის ბავშვთა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „სამტრედია“-მ მონაწილეობა მიიღო შემდეგ ღონისძიებებში:

1. მერაბ პაქსაშვილის ხსოვნის საღამო სამტრედიის მერიისა და კულტურის ცენტრის ორგანიზებით.
2. ქ. ბათუმი საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსი „ოქროს არგო“-ანსამბლი დაჯილდოვდა გრამ-პრით.
3. ქ.ბათუმი რესპუბლიკური ფესტივალ-კონკურსი „ოქროს ფანტელი“ ანსამბლი დაჯილდოვდა გრამ-პრით, ოქროს მედლებით, ანსამბლის „სამტრედია“-ს ხელმძღვანელს ელგუჯა ნამიჭიევილს და ანსამბლის მიენიჭა ნომინაცია „ოქროს ბრენდი“ .

ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალადის სახელობის კულტურის ცენტრმა მოემსახურა სხვადასხვა შემოქმედებით კოლექტივებს.

1. ქ.ქუთაისი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მიერ ჩატარებული საქველმოქმედო კონცერტი.
2. ნატო გელაშვილის კონცერტი .
3. სამტრედიის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი ანსამბლ „ორუდილა“-ს კონცერტი.
4. ქორეოგრაფიული ანსამბლი „იმერი“-ს კონცერტი სოსო შენგელია
5. ანსამბლი „ეგარის“ კონცერტი .
6. მხიარულთა და საზრიანთა კლუბი. ქ. ქუთაისი.
7. ანსამბლ „ივერია“-ს კონცერტი.
8. ხონის კულტურის ცენტრის თეატრი სპექტაკლით „ნაცარქექია“(მოწვევით).
9. კონფერენცია.
10. რეჟისორ თათია სხირტლადის ფილმის ჩვენება „დიდება დედოფალს“.
11. ქ.ქუთაისის მხიარულთა და საზრიანთა კლუბ „იშვიათი იმერლების“ კონცერტი.

შუალედური შედეგი

2023 წლის შედეგების მიხედვით კონცერტებსა და სპექტაკლებზე გაიზარდა მაყურებელთა რაოდენობა, განსაკუთრებით იმატა დაინტერესებამ ახალგაზრდებში.

5.18 ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება (პროგრამული კოდი 05 02 04)

ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება არის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება. იგი ორიენტირებულია ხელი შეუწყოს ბიბლიოთეკებისა და საზოგადოების თანამშრომლობის ახალი ფორმების ჩამოყალიბებას და აღზარდოს წიგნიერი თაობა.

ა.ა.ი.პ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება ხელმძღვანელობს საქართველოს კანონით „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“ (1996). ბიბლიოთეკაში ხდება ახალი წიგნების, ჟურნალ-გაზეთების მიწოდება, ლიტერატურული სადამოები, შეხვედრები მწერლებთან და საზოგადო მოღვაწეებთან, პრეზენტაციები, თემატური გამოფენები, მკითხველთა კონფერენციები, მოსწავლეთა ექსკურსიები ბიბლიოთეკაში და სხვა. ბიბლიოთეკა ხელს უწყობს მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედებითი ნიჭის განვითარებას. ვსწავლობთ მათი კითხვაში ჩაბმის მდგომარეობას. ვთანამშრომლობთ სკოლებთან და ვატარებთ ერთობლივ ღონისძიებებს. ბიბლიოთეკის პოპულარიზაციის მიზნით ბიბლიოთეკის ყოველი აქტივობა შუქდება ადგილობრივი ტელევიზიისა და პრესის მიერ, ბიბლიოთეკას აქვს საკუთარი ფეისბუქ-გვერდი „სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა“.

2023 წლის მდგომარეობით უფუნქციოდ დარჩენილია 2010 წლის რეორგანიზაციის შედეგად გაუქმებული 3 ბიბლიოთეკა-ფილიალი (გამოჩინებული; ტოლები; იანეთი). მათი წიგნადი ფონდი სულ შეადგენს **13131 ეგზ.** წიგნს, საერთო ღირებულებით 18805 ლარი.

2023 წლის ნოემბერში საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის ორგანიზებითა და ამერიკის საელჩოსა და ფონდი არველადის მხარდაჭერით, გაიმართა ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდის განახლების პროექტი. აღნიშნული პროექტის ფარგლებში სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკამ საჩუქრად მიიღო 900 ლარიანი ვაუჩერი, რომლითაც სხვადასხვა გამომცემლობებიდან საჭირო ლიტერატურა შევიძინეთ. წიგნების ტრანსპორტირება უზრუნველყო საბიბლიოთეკო ასოციაციამ. პროექტის ფარგლებში აგრეთვე ჩატარდა ონლაინ ტრენინგები თანამე-დროვე საბიბლიოთეკო მოდელის და რეფორმების შესახებ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბ-ლიოთეკო გაერთიანებისთვის შეიქმნა ლოგო, რომლის ავტორი სამტრედიელი თვითნასწავლი მხატვარ-გრაფიკოსი ოთარ შუბლაძეა 2023 წელს ა.ა.ი.პ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანებაში სულ შემოვიდა - **393 ეგზ.** წიგნი, საერთო ღირებულებით **-5342 ლარი და 27 თეთრი.** აქედან ბიუჯეტით შევისყიდეთ **257 ეგზ.** წიგნი, ღირებულებით 3725,00 ლარი და **27 თეთრი.** მკითხველისგან და ორგანიზაციებისგან საჩუქრად შემოვიდა 136 ეგზ წიგნი, ღირებული **1617 ლარი. (შედგ. აქტები).**

2024 წლის მდგომარეობით ა.ა.ი.პ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო ქსელი აერთიანებს 10 მოქმედ ბიბლიოთეკას. აქედან ერთი მთავარი, სამი საქალაქო და ექვსი სასოფლო ბიბლიოთეკაა. ქსელში დასაქმებულია 22 მუშაკი.

საბიბლიოთეკო გაერთიანების (10 მოქმედი ბიბლიოთეკა) ფონდი სულ შეადგენს 143 015 ეგზ. წიგნს. საერთო ღირებულებით 310409,47 ლარი.

2023 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანებამ სულ მოემსახურა 4611 მკითხველს, რომელზეც გაიცა 54667 საბიბლიოთეკო ერთეული.

2024 წლის იანვრის მდგომარეობით საბიბლიოთეკო გაერთიანების (10 მოქმედი და 3 გაუქმებული ბიბლიოთეკა-ფილიალი) ფონდი სულ შეადგენს 156 146 ეგზ. წიგნს, საერთო ღირებულებით 329 214,50 ლარს.

ბიბლიოთეკის სახელწოდება	საგანმანათლებლო-სამეცნიერო, კულტურული და სხვა ღონისძიებების ჩამონათვალი და მოკლე აღწერა, შედეგები
ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება	„წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე“ - ლიტერატურული ნაწარმოებების მხატვრული კითხვა და დისკუსია.
	საჯარო შეხვედრები ფსიქოლოგ ლელა სტურუასთან
	საჯარო ლექცია თემაზე „გრიგოლ ფერაძე“
	„ადამაშენებელი საქართველოსა“- დავით ადამაშენებლის ხსენების საღამო
	ნორჩი მოსწავლეების ექსკურსიები ბიბლიოთეკაში
	სასკოლო თეატრალური კლუბების მიერ წარმოდგენილი სპექტაკლები ბიბლიოთეკაში.
	დედის და ქალთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება
	დედაენის დღისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიება
	„დედაენის კვირეულის“ ფარგლებში სამტრედიის №6 საჯარო სკოლის მიერ განხორციელებული საპრეზენტაციო თემის წარდგენა ბიბლიოთეკაში.
	23 აპრილი „წიგნის საერთაშორისო დღე“- ახალგაზრდა აქტიური მკითხველების დაჯილდოება
	პროექტი „გზა-წიგნიერებისკენ!“ ფარგლებში საბავშვო ბაღის აღსაზრდელების ექსკურსიები და საგანმანათლებლო-შემოქმედებითი აქტივობები ბიბლიოთეკაში.
	9 მაისის ქართველი გმირების ხსოვნის საღამო
	„სასაცილო და თან სევდიანი“- ნოდარ დუმბაძის საიუბილეო საღამო
	სამტრედიელი ავტორების წიგნების წარდგენა
	სოხუმის დაცემიდან 30-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო
	ქართველთა და ებრაელთა მრავალსაუკუნოვან ურთიერთობებზე მიძღვნილი მკითხველთა კონფერენცია

შუალედური შედეგი

- საბიბლიოთეკო სფეროს თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობა, მოსახლეობისათვის განახლებული სერვისების შეთავაზებით მკითხველთა დაინტერესების ზრდა, ბიბლიოთეკების სერვისით დაინტერესებულ პირთათვის სამუშაო პროცედურების გაადვილება.

5.19 შ.პ.ს. „სამტრედიის მაცნე“ (პროგრამული კოდი 05 03)

გაზეთი „სამტრედიის მაცნე“ ერთადერთი გაზეთია, რომელიც მაქსიმალურად აშუქებს ადგილობრივი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებას, მუნიციპალიტეტისა და საკრებულოს საქმიანობას.

გაიზარდა მკითხველის ინტერესი გამოქვეყნებული პუბლიცისტური და სოციალურ-საყოფაცხოვრებო თემატიკის შემცველი მასალების მიმართ. გაიზარდა გაზეთის ხელმომწერთა რაოდენობა.

გაზეთი „სამტრედიის მაცნე“-ს პროგრამის მიზანია სტაბილურად გამოცემის უზრუნველყოფა და მოსახლეობაზე დროულად მიწოდება. იგი უზრუნველყოფს პოლიტიკური, საზოგადოებრივი, კულტურული და შემოქმედებითი საკითხების გაშუქებას. ასევე, აშუქებს მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროექტებსა და პროგრამებს. მისი მიზანია

იყოს ობიექტური და მკითხველამდე სწორად მიიტანოს არსებული მდგომარეობა, გამოხატოს საზოგადოების ინტერესი, გააშუქოს მისთვის საჭირობოროტო საკითხები. სხვადასხვა რუბრიკებით ისაუბროს ადამიანებზე, მოვლენებზე, რომლებიც დაეხმარება საზოგადოებას სწორი აზროვნების ჩამოყალიბებაში და ჯანსაღი აზრის განვითარებაში. ასევე ხელი შეუწყოს ჯანსაღი მომავლის აღზრდასა და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობას. გაზეთი „სამტრედიის მაცნე“ მიზანია იყოს მედიატორი ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის. სწორად წარმართოს საწარმოს ეკონომიკური საქმიანობა და იყოს ორიენტირებული მოგებაზე.

2023 წლისათვის გამოვიდა გათვალისწინებული და დაგეგმილი 24 გაზეთის ნომერი, {ერთ თვეში 1000 ეგზემპლარი, წელიწადში 12000 ეგზემპლარი გაზეთი}.

შუალედური შედეგი

მოსახლეობის ინტერესის ზრდა გაზეთში გამოქვეყნებული მასალების მიმართ. მკითხველთა და ხელმომწერთა ზრდა, ინფორმირებული მოსახლეობა.

5.20 ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრი (პროგრამული კოდი 05 04)

ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრი 2008 წელს ჩამოყალიბდა. ორგანიზაციის ძირითადი ფუნქცია სამტრედიის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდის www.samtredia.com.ge მუდმივი განახლება და საზოგადოების ინფორმირებულობა მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესების შესახებ არის.

2023 წელს საინფორმაციო ცენტრში დასაქმებული 7 თანამშრომელი. ორგანიზაციაში განსაზღვრულია თანამშრომელთა პასუხისმგებლობების სტანდარტი. თითოეული თანამშრომელი კარგად იცნობს ორგანიზაციის მიზნებსა და ამოცანებს. აღსანიშნავია, რომ წესდების მიხედვით საინფორმაციო ცენტრის ფუნქცია ჟურნალისტურ საქმიანობასთან ერთად ახალგაზრდებთან და მოწყვლად ჯგუფებთან სამოქალაქო აქტივობების განხორციელებაა.

www.samtredia.com.ge მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი ყოველდღიურად განახლების რეჟიმშია. 2023 წელს ოფიციალურ ვებ გვერდზე 530 მასალაა განთავსებული. ვებ-გვერდზე იტვირთება მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის ოფიციალური დოკუმენტაცია. აქტიურად მუშაობს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრი სოციალური მედიის კუთხით. საინფორმაციო ცენტრი მაქსიმალურად უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესების გაშუქებას. ვებ-გვერდზე ჩაშენებული მოქალაქეთა ჩართულობის უკუკავშირის პლატფორმა, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებრივი საჭიროებების კვლევასა და იდენტიფიცირებას.

საინფორმაციო ცენტრის თანამშრომლების ადამიანური რესურსისა და მატერიალური ტექნიკური ბაზის გამოყენების საშუალებით მუნიციპალიტეტში არა ერთი აქტივობა განხორციელდა.

საინფორმაციო ცენტრი არის ინოვატორი, რაც გამოიხატება ახალგაზრდული საკითხების მიმართულებით განხორციელებულ აქტივობებში.

2023 წელს საინფორმაციო ცენტრის ინიციატივით ახალგაზრდების ცნობიერების გაზრდის მიზნით მოეწყო შეხვედრები ახალგაზრდებისთვის ჩატარდა ტრენინგები პროექტების წერა და მართვა და მედიაწიგნიერება. საინფორმაციო ცენტრის ერთერთ მიზანს წარმოადგენს თანამშრომელთა გადამზადება, ცენტრის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ადგილობრივ დონეზე დაგეგმილ ტრენინგებში, საინფორმაციო ცენტრის თანამშრომლებს ურთიერთობა აქვთ საჯარო და არასამთავრობო სტრუქტურებთან, აღსანიშნავია რომ რეგიონული ჰაბის მიერ საინფორმაციო ცენტრის ვებ-გვერდზე www.samtredia.com.ge ჩართულია მოქალაქეთა ჩართულობის პლატფორმა ამ და სხვა თემებთან დაკავშირებით LDA-ს წარმომადგენლებმა შემაჯამებელი შეხვედრა გამართეს ცენტრის თანამშრომლებთან და მომავალში მოქალაქეთა აქტიური მონაწილეობის კუთხით სხვადასხვა ღონისძიებები დაგეგმეს.

საინფორმაციო ცენტრი აღჭურვილია უახლესი სტანდარტების შესაბამისად ტექნიკითა და საოფისე მასალით. საინფორმაციო ცენტრი მუდმივად ეძებს პარტნიორებს და დაფინანსებას. სწორედ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრი არის მდგრადი განვითარებული, სტანდარტების შესაბამისი ორგანიზაცია.

ორგანიზაცია აქტიურად მუშაობს მოწყვლად ჯგუფებთან . (ქალები, ბავშვები, შშმ პირები, დევნილები)

2023 წელს საინფორმაციო ცენტრში კომპიუტერის კურსები გაიარა სამტრედიის მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა 5 მოქალაქემ.

2023 წელს საინფორმაციო ცენტრის ინგლისური ენის კურსები გაიარა სამტრედიის მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა 10 მოქალაქემ.

შუალედური შედეგი

- საზოგადოების ინფორმირება საიტის საშუალებით; სამტრედიის და მიმდინარე მუნიციპალიტეტებისთვის ბეჭდური მომსახურების შეთავაზება.

5.21 ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 05 01)

საანგარიშო პერიოდში ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებების დაფინანსების მიმართულებით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- დაფინანსდა სამტრედიელი ახალგაზრდების მონაწილეობა პროექტ „ადმოჩინე საქართველო“-ს მარტვილის ბანაკში.
 - ანაკლიის ბანაკში სამტრედიელი ახალგაზრდების მონაწილეობა.
 - ჩატარდა ინტელექტუალური თამაში „რა, სად, როდის?“ სასკოლო ჩემპიონატი.
 - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მოეწყო საბავშვო ბაღების აღსაზრდელთა კონცერტი- მოეწყო მულტიკულტურული ფესტივალი საჯარო სკოლების ჩართულობით.
 - გაიმართა 2023 წლის გრანტის მფლობელი სტუდენტების დაჯილდოება.
 - შეიქმნა მერიის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭო, საბჭოს წევრებისათვის დამზადდა სამტრედიის მაიდენტიფიცირებელი სიმბოლიკის მქონე ხელნაკეთი სუვენირები.
 - აღინიშნა 3 დეკემბერი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებათა დაცვის დღე.
- დღის ცენტრ „ლამპარის“ აღსაზრდელისათვის შეძენილი იქნა საახალწლო სუვენირები.
- 23-24 დეკემბერს ჩატარდა იოანე და თემურ ვაჟაშვილების მემორიალი ინტ. თამაშში „რა,სად, როდის“
 - 27 დეკემბერს ჩატარდა შემეცნებითი ღონისძიება „ნ. ნიკოლაძე- პირველი ევროპელი“

შუალედური შედეგი

საზოგადოებრივ აქტივობებში ახალგაზრდების ჩართვა, მათი ცოდნის დონისა და სამოქალაქო თვითშეგნების ამაღლება.

საანგარიშო წლის განმავლობაში განხორციელებულ ღონისძიებებში დამსწრეთა და მონაწილეთა რაოდენობამ 3000-ს გადააჭარბა.

5.22 კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 05 02)

საანგარიშო პერიოდში კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის ღონისძიებების დაფინანსების მიმართულებით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- სპეციალურ რეჟიმში მომუშავე ორგანიზაციებისათვის საშობაო ამანათების შექმნა.
- გაიმართა საშობაო კონცერტი.
- ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ნატო გელაშვილის კონცერტი და სამტრედიელი ხელოვანი ქალბატონების ნამუშევრების გამოფენა- გაყიდვა.
- 21 მარტს აღინიშნა ქართული ჟურნალისტიკის დღე.
- მერაბ პაქსაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ქორეოგრაფიული კონცერტი.
- დამე მუზეუმში (მოწვეული იყო პოეტი თემურ ელიავა).
- ჩატარდა სამუსიკო და სახელოვნებო სკოლის წარმატებული მოსწავლეების კონცერტი.
- ჩატარდა ანსამბლ „ეგარის“ კონცერტი.

- სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით ჩატარდა ვოკალის აკადემიის მოსწავლეების „პროექტ რანინას მონაწილეების კონცერტი.

